

K 112 474  
3



3700063200  
010-00000000





საქართველოს სამკოთა მწერლების კავშირი  
გამომცემლობა  
„ღიტერატურა და ხელოვნება“  
თბილისი  
1963





CPU 747896X 747896X

72 (c 922) (0922) 111  
0601065740  
30020000000000

2000-2001  
జూలై-జున్

Եղբայրութեան մատուցած

“M n o s k a o t a m a s u b i c y l i n d r i c u l a r i t y .”



ნ. განგერიძის წიგნში გადმოცემულია ხეროობიძ-  
ლვარ აჩჩილ ქურდიანის შემოქმედება და მოღვაწე-  
ობა.

ავტორი თანმიმდევრულად განიხილავს ცნობილი  
ხეროობმოძღვრის შემოქმედებით გზას, მის სტილსა  
და თავისებურებას.

წიგნში დეტალურად და საინტერესოდაა გაანალი-  
ზებული ისეთი ნაგებობანი და პროექტები (თბილისის  
„დინამოს“ სტადიონი, საქართველოს სსრ პავილიონი  
შოსკოვში და სხ), რომლებმაც ქართული საბჭოთა  
არქიტექტურის განვითარებაში დადი როლი შეას-  
რულეს.

յարտուլու արյութելիուրաս თացօս ხանգըմլուցո արևծծոծուն մաճունքու ծեզրո թըդագ մնուշելունանո հըցլու Շըլյմնա. արյութելիուրա պացըլուցուն յարտուլու կըլլէլուրուն յրտ-յրտու թոփոնացը գարցո ոցու. սածուուտա արյութելիուրուն ուժուրութուց, յարտուլու արյութելիուրաս յրտ-յրտու პոհցըլու ալցուու այցս մոյշունեցնուլո. մոյծատա Շըլլունմատա գամլուցուն դա Շահմաբերձատ մոյլու, մացրամ թըդագ հրտուլսա դա սանուրըսու ցիշչը յահուցըլու եղուունմալունը թէկուրու ալցունացը սեցա թոփոնացը սածքուտա արյութելուրտա ցարդուտ.

արօան արյութելուրըս, հոմելուտա Շըմովմելըրծաս ցըրը ցըր ավշալուտ, հուցա ախալ, տաճամըրնոցը յարտուլու արյութելիուրաչը վլուպահայութ. ամ արյութելուրտա Շոհուն յրտ-յրտ մնուշելունանուն ալցուու արհիոլ յշուրդունու միցուրցը.

արհիոլ յշուրդունու սկսուրնունուն ալցուրդա արյութելիուրուն ցարտու սածքունու ցալալու մուսականունուն ալցուրդա.

արհիոլ յշուրդունու եղուունմալունա ու ձլցա- գա ցուտունուն, հոմելութաց արյութելիուրը գա- նալունը պոհցըլմա մուլու սածքուտա սայահուցը- լունու դա հոմելուսաց Շըմլցումնու արյութելիու- րը ցրոնքնու ցրուագ մնուշելունունու ամուց- նենու Շըսրուլունը դաշցունու.

\* \* \*

արհիոլ յշուրդունու գամանա 1903 նուլս յա- լայ տծուունուն, ցամունինունու ոնցունուն ցոցու յշու- դունուն ոչաենու. մամամուն, սածքուտա եղուունմալը- ծուն գամպարեցնուց, յալայուն միահուցըլունունուն, կո- լու Շըմլցը տծուունուն սայալայուն սածքունու մըթ- ունու մտացար ոնցունուն. սածքուտա եղուունմալը- ծուն կլցընուն մուս եղուունմալունուն գամուցլու դա

ერთ-ერთი უცელაშე მნიშვნელოვანი ღონისძიება თბილისის ჩეკინსტრუქციის დარგში. გ. ქურდი-ანმა 1924 წ. დაამუშავა ე. წ. პასაუ „კროშეასა“ (სადგურის ქუჩისა და პლეხანოვის პროსპექტის შეერთება) და შუა ბაზრის (ლესელიძის ქ.) ვაფარ-თოების პროექტები. უკანასკნელს, როგორც ცენ-ტრისა და ე. წ. „ძევლი თბილისის“ რაიონების შემაერთებელს, განსაკუთრებული მნიშვნელო-ბა ჰქონდა თბილისისათვის. ამ სამუშაოს თვით ავტორი პეტრე ბერძნევანელობდა ადგილზევ. შემდ-გომში ქურდიანს შრავალი პროექტი დაუმუშავე-ბია წყალსადნენ-კანალიზაციისა თუ საცხოვრებე-ლი ობიექტების მშენებლობისათვის.

ქურდიანების ოჯახში საინიციატო განათლება ტრადიციად იქცა და სრულიად ბუნებრივი იყო, რომ თბილისის 1 გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, 1922 წ., ახალგაზრდა არჩილიც სახელმწიფო უნი-ვერსიტეტის პლიტენიციურ ფაულტეტზე შე-ვიდა. მამისა და უფროსს ძმისაგან განსხვავდით მან ხუროთმოძღვრების დარგი აირჩია. შემდგომ-ში ეს ტრადიცია კიდევ უფრო განმტკიცდა და ახლა არჩილ ქურდიანის ოჯახში უცელა არქიტექ-ტორია: მისი მეუღლე ქეთევან სიკოლოვა და ვა-ში—ვაკ ამავე პროფესიას ემსახურებიან.

უმაღლეს სახელმწიფო განათლება მიიღო. საბჭოთა ხელი-სულების დამყარების წინ საქართველო არქი-

ტექტორთა კადრების სრულ უქონლობას, განიც-დიდა და სახუროთმოძღვრო განათლების საჭირი-ორგანიზაცია ერთ-ერთ მნიშვნელოვან ღონისძიებას წარმოადგენდა. 1922 წელს სამხატვრო აკადე-მიასა და სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩამოყა-ლიბდა არქიტექტურული განცოცილებები და არ-ჩილ ქურდიანიც ამ პირველ ნაკადში მოხვდა. ეს იყო პირველი თაობა საბჭოთა ქართველი არქი-ტექტორებისა, რომელმაც შემდგომ მნიშვნელო-ვანი როლი ითამაშა ქართული საბჭოთა არქიტექ-ტურის ჩამოყალიბება-განვითარებაში.

თეორიული საგნების სწავლებასთან ერთად, რომელთა შორის დიდი უურადღება ერთმომა-კართულ ისტორიულ არქიტექტურას, ხუროთ-მოძღვრების ფაულტეტზე სტუდენტები პრაქტი-კულადც სერიოზულად მეცადინეობდნენ. სხვა-დასხვა მშენებლობაზე მონაწილეობის შემდეგ, სხვა სტუდენტთან ერთად არჩილა ქერ „ზარია კოსტკუას“ რედაქციის შენობის მშენებლობაზე მუშაობს სამუშაოს მწარმოებლის მოადგილებ, ხოლო შემდეგ, 1928 წელს, მოსკოვის ერთ-ერთ საპროექტო ბიუროში.

სტუდენტობის წლებში არჩილ ქურდიანი მო-ნაწილეობს კონკურსში, რომელიც ვაკის საცდელ-საჩვენებელი რაიონის დაგეგმარებაზე იყო გამო-ცხადებული. ა. ჩას წერს ამის შესახებ 1928 წელს გაზეთი „ზარია კოსტკუას“: „გუშინ აღმა-კომში წარმოდგენილი პროექტები განიხილა ტექ-



ნიკურმა საბჭომ, რომელიც პროფესორთა და ინ-  
ჟინერ-ტექნიკოსთა საუკეთესო სპეციალისტებისა-  
გან შედგება. პრემია მიენიჭა პროექტს—დევიზით  
„ლამარა“, რომლის ავტორი აღმოჩნდა სახელმწი-  
ფო უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის  
არქიტექტურული განყოფილების სტუდენტი არ-  
ჩილ ქურდანი.

მისურდავად მთანი და არახლასყრელი რე-  
ლიეფისა, ამ პროექტის მიხედვით ქუჩები დაგეგ-  
მილია საცავიდ სწორად, ჩიხებისა და შესახვე-  
ვების გარეშე. დასავლეთ ეკრანის კეთილმოწყო-  
ბილ ქალაქების ნიმუშთა მიხედვით. მოხერხებუ-  
ლია ქუჩების დაყოფა კვარტალებად და კვარტა-  
ლებისა — სახლთა უბნებად. განსაკუთრებით  
შეინიშნებოდანა, რომ კვარტალების ამ უბნებად  
დაყოფისას პროექტის ავტორი ითვალისწინებს  
რაიონში ქარების მიმართულებას.

რაიონი ქალაქ-ბაზის სახეს იღებს. ადგილის  
რელიეფთან შეცარდებულია წვების წყლების  
დენა, კანალიზაციისა და წყალსადღინის მოწყობა.  
საზოგადოებრივი ნაგებობანი — თეატრები, კი-  
ნო, ტექნიკუმი, სტადიონი, საბავშვო ბაზი, ბავშვ-  
თა მოედნები—დაგეგმილია ცენტრში და დაცუ-  
ლია მტკრისა და ქარისაგან.

ტექნიკურმა საბჭომ პროექტში უმნიშვნელო  
შესწორებანი შეიტანა. გადაწყდა, რომ საავადმ-  
ყოფოს შენობა მთან ნაწილში გადაიდეს, ხო-  
ლო საზოგადოებრივი ნაგებობები აშენდეს რაი-

ონის სხვადასხვა ნაწილში” („ჯარია ვოსტკის უნივერსიტეტის ინიციატივით 20. 9. 26 № 1336).

ამ პროექტის მიხედვით დაიწუო მშენებლობა.  
უნივერსიტეტის ქუჩის მახლობლად შეიქმნა  
მრგვალი მოედანი რადიალური ქუჩებით. მშენებ-  
ლობა თითქოს პროექტის მიხედვით მიმდინარე-  
ობდა, მაგრამ შემდგა, თანდათანობით, იწყეს მი-  
სი უგულებელყოფა. რას შედეგადაც პროექტი  
მხოლოდ ნაწილობრივ განხორციელდა.

ასე იყო თუ ისე, ამ კონკრეტში გამარჯვება  
ახალგაზრდა სპეციალისტის სერიოზული განაც-  
ხადი იყო არქიტექტურაში. გამარჯვება, რომე-  
ლიც სტუდენტს დიდ მომავალს უქადა.



უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემ-  
დეგ 1930-31 წლებში, არჩილ ქუჩისანი მშენებ-  
ლობაზე მუშაობას არჩევს. იგი სამუშაოს მწარ-  
მოებელი, ხოლო შემდეგ ხელმძღვანელობს საც-  
ხოვრებელი სახლის მშენებლობას ვაჟა-ფშაველას  
ქუჩაზე. ამ სახლის პროექტი გამოჩენილ არქი-  
ტექტორს ნიკოლა სევეროვს ეკუთვნოდა და  
მასთან მუშაობა ახალგაზრდა სპეციალისტისათ-  
ვის კარგი სკოლა იყო. სურაომძლვარი ახალ-  
გაზრდა სპეციალისტისაგან მოითხოვდა. რომ მშე-  
ნებლობა ზესტად პროექტის მიხედვით ეწარმოე-  
ბინათ. პროექტის დეტალურ დამუშავებაზე ხში-  
რად იგი თვით არჩილ ქურდიანს იწვევდა. ასე  
თანდათანობით, ამ მძიექტზე, იგი დებულობდა  
მშენებლის იმ პრაქტიკულ ჩვევებს, რომელთა



გარეშე ხუროთმოძღვრის მუშაობა წმინდა თეო-  
რიულ სფეროს ვერ გასცდება.

მშენებლობაზე მუშაობის შემდეგ იგი გადა-  
დის საპროექტო ორგანიზაციაში — „საქურორტ-  
შენში“, სადაც სხვადასხვა დანიშნულების ობიექ-

არქიტექტორ ზურაბიანს ეკუთვნოდა, ბევრი ისტორიული ნაკლი ჰქონდა. არჩილ ჭურაიძის მიერ მრიენტაცია შეუცვალა და საფუძვლიანად გადაა-  
კეთა ეს პროექტი. მაგრამ შემდეგ ეს აღგილი და-  
წუნებული იქნა და სტადიონისათვის შეარჩიეს



დასავენებელი სახლი ბაკურიანში. I და II სართულის გეგმა:  
1932.

ტემს აპროექტებს (გაგრის, კიკეთისა და ბაკუ-  
რიანისათვის).

აქ, 1932 წელს, იგი ადგენს ვაკის სტადიონის  
პროექტს. ადრე არსებულ პროექტს, რომელიც


ახალი ტერიტორია დიდუბეში, იქ, სადაც სასე-  
ლექციო სადგურის ველი იყო გადაშლილი.

კვლავ გამოცხადდა დახურული კონკურსი,  
არქიტექტორებმა — ა. ჭურაიძიანმა, დ. ფომინმა

და ლ. შელეგიმ ი. უიტკოვსკისთან ერთად ორი პროექტი წარადგინეს. ეს 1932 წელს მოხდა. 1933 წელს კი ა. ქურდიანისა და დ. ფომინის პროექტის მიხედვით უკვე მშენებლობაც დაიწყო.

მაგრამ რამდენიმე წეის შემდეგ დაისვა ამ

უიტკოვსკიმ, ინტ. პლეშევოვმა და „არქიტექტორის შახოვის ჯგუფმა“. კონკურსში წარმოადგენილი პროექტები განსხვავდებოდა როგორც ჩანაფიქრის, ისე შესრულების თვალსაზრისითაც. თუ ი. უიტკოვსკისა და გ. ტერ-მიქელოვის, ლ. შელეგის



დასასცენებელი სახლი ბაქურიანში.  
1932.

პროექტის დახვეწა-გაუმჯობესების საკითხი, მისი რამდენადმე სქემატური ხასიათის გამო.


1932 წელს შედგა კონკურსის მეორე ტური. პროექტები წარადგინეს ა. ქურდიანმა, მ. კალაშ-ნიკოვმა და დ. ფომინმა, გ. ტერ-მიქელოვმა, ი.

პროექტები „კონსტრუქტივისტულ“ უაიდაჲე იურ დამუშავებული, კალაშნიკოვისა და დ. ფომინის პროექტი რუსული კლასიციზმის ფორმების გადამდერებას წარმოადგენდა, ხოლო „შახოვის ჯგუფის“ და პლეშევოვის პროექტები სქემატური



ոյս. ՍՅԵԼԱ ամ Արոքյեթ և ՑԿՎԵԹԻՐԱ՛ ՄԱՆՈՒՍԱՏՈՒՐԸ-  
ՃՈԾԱ ԱՐԻՈՂ ՀԵՇԽԾՈՆԻ ԱՐՈՔՅԵԹ (ՄԵԱԳՎԱՌ  
Տ. ՖԻՇԵՐԵԿՅՈՒ ՑՈՆՆԱՇԾՈՂԵԿՈՒԹ), ՀՈՄԵԼՈՎ ԱՐԻՆ-  
ՎՈՑՄԱՋԱ ՏԵԶԱ ՑՈՒՑՈՒՑԻՑԻ ՊԼԱՆ. ԱՎԳՈՒՐՄԱ ՏՐԱ-

ԳՈՉՆՈՒ ԱՐՔՈՒՑԵԺԾՈՒՐՈՍԱՏՈՎՈՆ ԵՐԱՎԵՆՇԾՈՒՐՈՒՑՄԱՆ  
ՀՐՈԹՈԽԾՈՎՐԵՑՈՆ ՑՈՒՐՄԱՏԱ ՑԱՄՈՎԵՆԵՑՄԱՆ ԿԱՎԱՐԱՐՈՒՄ  
ՄՈՒՐՈՑ ՏԵՄՈՒՐԵ ԵՍ ԱՐՈՔՅԵԹ ԹՈՈՂ.




ԸՆԴԱՎԵՐԵՆԵՑՄԵԼՈ ՏԱԵԼՈ ԿՈՎԵԹԻՌ ՏԱՎԱՐԾՈ  
ԿՈՒՑՄԱՆ ՑԵՐՎԱ. 1932.

სტადიონის პროექტირება ქართული საბჭოთა არქიტექტურის ისტორიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფურცელს შეადგენს.

ჯერ ერთი, თვით სტადიონის თემა სრულიად

„დინამოს“ სტადიონის მშენებლობა ერთ-ერთ უდიდესი იყო საბჭოთა საქართველოში. ცენტრული ეს მშენებლობა განსაკუთრებით საინტერნაციული იმიტომაც არის, რომ იგი ემთხვევა ჩვენი ბუროტომძღვრებისთვის დღად მნიშვნელოვან პერიოდს. ეს ის პერიოდია (30-აანი წლების დასაწყისი), როცა ქართული არქიტექტურა, მთელ საბჭოთა არქიტექტურასთან ერთად, თავს აღწევს ფორმალისტური არქიტექტურის სხვადასხვა გავლენას და პარტიისა და მთაცრობის ცნობილი დადგენილებების შესაბამისად განვითარების ახალ

ახალი იყო ქართული არქიტექტურისათვის. თბილისს არავითარი დამთავრებული სპორტული ნაგებობა არ გაჩნდა. საბჭოთა ხელისუფლების წლებში ფიზიკურმა კულტურამ და სპორტმა ფართო სარბიელი პარა. მან ხალხის ცხოვრება-ში მნიშვნელოვანი ადგილი დაიმკიდრა. ამის შემდეგ ბუნებრივად დაისვა სპორტული ბაზის მშენებლობის საკითხი. ყველაფერს ამას ემატებოდა თბილისური ჰავა, რომელიც სპორტსმენებს შესაძლებლობას აძლევს თითქმის მთელი წლის განმავლობაში ივარჩიშონ ჰაერზე.




დასასვენებელი სახლი  
გაგრაში. I სარტყლის ვეგმა.

გზას ისახავს. არქიტექტურას უნდა ჩამოეშორებინა ფორმალისტური გამოცლენანი და შეიქმნა

ლიად საწინააღმდეგო შედეგს ვღებულობით სადა, რაციონალური დაგეგმარების ნაცვლად,

იროვნებო  
და გეოგრაფიული



დასასვენებელი სახლი გაგრაში. 1932.

საბჭოური არქიტექტურის ახალი შინაარსის გამომსახველი ფორმა.

არქიტექტურაში მთელი სიგრძე-სიგანით დაიხვა ეროვნული ტრადიციების აოვისების საკითხი. მართალია, შემდგომში, ამ საკითხის მეტად ცალმხრივი და არასწორი გაების გამო, ხშირად სრუ-

(„ეროვნული“ არქიტექტურული ფორმის ძიების მომიზეზებით) ყურადღება გარეგან მხარეზე იქნა გადატანილი. ამან გამოიწვია პრინციპული ბასიათის შეცდომები, რაც არაუკონმიურობასა და ზედმეტობის დანერგვას იწვევდა. მაგრამ ფორმით ეროვნული არქიტექტურის შექმნის თვით

საკითხის დასმა სრულიად მართებული იყო.

ამ დროს თბილისში მიმდინარეობდა ორი მეტად მნიშვნელოვანი ობიექტის მშენებლობა — მთავრობის სახლის და მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალის. ამ მშენებლობას წინ უსწრებდა კონკურსი. ქართული საბჭოთა არქიტექტურის განვითარებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მთავრობის სახლის დასაპროექტებლად გამოცხადებულ კონკურსს. სწორედ აქ იჩია თავი ქართველ არქიტექტორთა საერთო მისწრაფებამ — მოენახათ თანამედროვე ეროვნული არქიტექტურული ფორმა.

ქორონლოგიურად „დინამოს“ სტადიონის დაპროექტება და მშენებლობა ოდნავ წინ უსწრებს ამ ობიექტთა დაპროექტებას. მის არქიტექტურაში ერთოვნულ ფორმათა გამოყენების ცდა თავისი მნიშვნელობით სცილდება მხოლოდ ერთი ცალკეული ნაგებობის ფარგლებს. იგი საინტერესოა საერთოდაც, ამ ეტაპზე ქართულ საბჭოთა არქიტექტურაში ქართული არქიტექტურული ტრადიციების ათვისების თვალსაზრისითაც.

კონკურსის შედეგად მიღებული აჩილ ქურდაინის პროექტი თანდათანობით იხვეწებოდა. პროექტის კონსულტანტი პროფესორი ა. კალგონი ახალგაზრდა არქიტექტორის ყურადღებას სწორედ ერთოვნული ხუროთმოძღვრული მოტივების გამოყენებისაკენ წარმართავდა.

„დინამოს“ სტადიონი საექსპლორაციოდ გა-

დაუცა 1932 წელს, მოლაპარად კი მისი მშენებლობა 1937 წელს დამთავრდა.

სტადიონისათვის, როგორც უკვე აღინიშნა, გამოყოფილი იყო განაშენიანებისაგან თავისუფალი ნაკვეთი 10 პეტარის ფართობით, ქალაქის მარცხენ ნაპირზე, ორჯონიშვილის სახ. კულტურისა და დაცვენების პარკთან, ეკავი წერეთლის, ტელმანისა და მაიკოვესკის ქუჩებს შორის. მართალია, ნაკვეთი ვრცელი ციმრტული კომპლექტისათვის საკმარისი არ იყო, მაგრამ სტადიონისა და ერთი სავარგიშო მოედნის მოთავსების საშუალებას მაინც იძღვნდა. ამ ადგილს ის უპირატესობაც ჰქონდა, რომ კარგად უკავშირდებოდა ქალაქის სხვადასხვა რაონებს.

სტადიონის გრძივი ღერძის ორიენტაცია შერჩეულია სამხრეთ-ჩრდილოეთის მიმართულებით (აღმოსავლეთისაკენ ა-იანი გადახრით, გაბარისებული ქარების გამო). რაც ხელსაყრდელ პირობებს ქმნის ჩაკეტილი ტიპის ტრიბუნებზე მაცურებელთა მაქსიმალური რაოდენობის მოთავსებისათვის.

სტადიონის ოვალს უკველმხრივ ერტყმიან ტრიბუნები, რომლებიც გრძივი ღერძის მიმართულებით სამ იარუსიანია, ხოლო დარჩენილ ორ მხარეს ორიარუსიანი. ტრიბუნებზე 23.000 მაცურებელი ეტევა. გარდა ამისა, სტადიონზე არის ადგილები უცხვერებელი მდგომ მაცურებლისათვის. (1962 წელს მოხდა ტრიბუნების დროებითი რე-

კონსტრუქცია, რამაც დასაჭლომ აღგილთა რიცხვი 30 36.000-მდე გაზარდა).

გრძივი ღრემის მიმართულებით, ე. ი. დასავლეთისა და აღმოსავლეთის ტრიბუნებზე პარტიისა, რომლის რიცხვი რიცხვი შემდგომშია გაზრდილი (ამან თავისი კვალი დამჩნია ხედვის პირზებს: უკელა აღგილიდან კარგად არ ჩანს მოედანი).

ტრიბუნაზე ოთხივე მხრიდანაა შესასვლელი. ყველ მხარეს რამდენიმე შესასვლელია. ოვალის კუთხეებში შესასვლელები ღია მიშენებული კიბების სახითაა, ხოლო სხვაგან, კიბები ღია თაღოვან გალერიებშია ჩაღმველი. სახერთის მხარეს გაეთებული ღიაზი ტრიუმფალური თაღი (16 მ) სასპორტის მინდორს გარე სივრცესთან აკავშირდს. ეს სახეიმი შესასვლელი დემონსტრაციათ თუ სხვა ხალხმრავალ კოლონათა გასასვლელადაა გამიზნული.

თვით მოედანი 105X70 მ მინდორს წარმოადგენს. გარდა ფეხბურთის მინდვრისა, მოედანზე მსუბუქი მძლეოსნობის და სხვადასხვა სახეობის-თვის განკუთვნილი სექტორებია. მწვანე მინდორს გარს ეკვრის 7,5 მ სიგანის სარბენი ბილიკი.


თვით ტრიბუნები, როგორც უკვე ითვა. აღმოსასვლეთის და დასასვლეთის მხარეს სამიარუსიანია, ხოლო სამხრეთითა და ჩრდილოეთით—ორიარუსიანი. რიგთა ამაღლება ისე გათვალისწინებული (1 იარუსზე — 32,5 სმ; II-ზე — 36,0 სმ:

ხოლო III იარუსზე 44,0 სმ), რომ ხელვის კარგი პირობები იქმნება.

იარუსები 2,6—მეტროთა ერთმანეთზე არასაბული. რაც შესაძლებლობას იძლევა შესასვლელი გარშემოსასვლელი — ვალერიები მოეწყოს, რომ-ლეიც გარდა მორაობის უკეთესი გრაუიის შექმნისა, ფოიეს უკანქციებსაც ასრულებრინდების ადგილი, წვიმის დროს თავშესაფარი, ბულეტი და სხვ.).

დასასვლეთის მხარეს, შეუაში, ორიარუსიანი ლოჭია, რომელიც მთავრობის ლოგებს ეკუთვნის ტრიბუნების მხრიდან ეს ლოჟა გამოიჩინევა კონსლუტი გადახურვით. ლოჟაში შესასვლელიდან, რომელიც ცალკეა გამოყოფილი, მომსელელი ხვდება ვესტიბიულში. მას უკავშირდება ფოიე ბულეტით და ღია ლოჭია—ვერანდა.

ეს შესასვლელი ტრიბუნებს ქვეშაა. აქვეა აპრენდე სხვადასხვა დანიშნულების სადგომი, მათ შორის მაყურებელთა მომსახურების მოთავსები (ბულეტები, საპირფარეშო და სხვ.). სამხრეთ-დასავლეთის მხარეს, I-სართულზე, მოთავსებულია შექიბრების მონაწილეთათვის განკუთვნილი საღვიშები (ვესტიბიული, გარდერობი, გასახდელები, შეხაპი, ბულეტი და სხვ.). აქვეა მსაჭის, პრესის მუშავთა ოთხები და ორი გასასვლელი მინდორზე. სამხრეთ-დასასვლელ ნაწილში, II სართულზე კლუბია. გარდა ამისა, აქ არის საქიმო-უიშკულ-ტურული დისპანსერიც.



"Дінамо" Стадіону та лінії. 20 грав.  
1933.

სტადიონის ტრიბუნებქეშ განლაგებულია აგრეთვე სპორტული დარბაზები, რომელთაგან ტანკარგიშისა და ფარიკაობის დარბაზები ჩრდილო დასავლეთ მონაცემშია, სპორტულ თამაშობათა და ძალისნობისა—აღმოსავლეთ ტრიბუნებს ქვეშ, მოტო-სეტციისა კი ჩრდილოეთ მხარეს, სამხრანტოსავლეთი მხარე ზამთრის საცურაო აუზს და მის დამხმარე სადგომებს უკავია (აუზის ზომა — 10X 25 მ).

დასასრულ, ტრიბუნების ქვეშ, სამხრეთ-დასავლეთის მხარეს, მოთავსებულია სააღმინისტრაციო ჯგუფი და სასტუმრო, ჩამოსულ სპორტსმენთათვის.

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ „„დინამის“ სტადიონი ერთი მოცულობისაა, და ძირითადად უკებუროსისათვისაა გამიზნული, მასში მაინცაა გათვალისწინებული სხვადასხვა სახეობის სპორტული დარბაზები, რაც მას სპორტული ბაზის მნიშვნელობას ანიჭებს.

სტადიონის ფასადები ძირითადად შელესილი ყრუ კედლის სიბრტყეთაა წარმოდგენილი. ფასადთა ფრონტი, რომელიც ოვალს მიჰყვება, შეტეხილია დასავლეთისა და აღმოსავლეთის სამიარუსიან ტრიბუნების გასწროვა, მთელ სიგრძეზე, ხოლო სამხრეთისა და ჩრდილოეთის ტრიბუნებთან — ცენტრალურ ნაწილში. ამ პირზონტანტად გაწოლილ სხვადასხვა მოცულობათა შორის გამოყოფილია ცენტრალური ნაწილი შესავლე-

ლებიან თაღედით, ან თაღედითანი ლოჭით. გრძივი დერძის მიმართულებით ორივე მხარეს სამსარ-თულიანი მოცულობაა, რომელიც კიცებრთან ფლანჯირებული.

ჩრდილოეთი, ტრიბუნებქეშ შესავლელი — მოცულობითი პირტყიდებებითა და სართულებელ შეწყვეტილია თაღთან, ხოლო ზევით მას მაღალი თაღედის რიგი მიჰყვება.

დასავლეთით ლოშებისაკენ გასასვლელი, როგორც აღინიშნა, ორ იარუსად წარმოდგენილ ლოგიას ქმნის, რომელიც ღია თაღედითა შედგენილი.

ზედა ლოგიის ტერასა თაღედს არათანაბრად პყოფს, ქვედა ნაწილი გაცილებით დაბალია. ამ მოცულობას ორივე მხარეს დაბალი თაღედითანი შესასვლელები ერტყმის.

სამხრეთის ტრიუმფალური თაღით დაგვირცვინებული შესასვლელი ფლანჯირებულია ყრუ რიზალიტებით, ხოლო თაღს თავზე. ცენტრალური ნაწილის გაყოლებით, გამჭოლი ლოგიის ზოლი გასდევს.

ფასადები ღია ოქროსფრადა შელესილი, ხოლო სვეტები — მოთეთრო-მოყვითალო ტონის ძეგამის ქვით მოპირკეთებული. ორნამენტები, სვეტისთვები, კრონშტეინები, კარნიზი და სხვ. ხელოვნური ქვისაგანაა ჩამოსხმული. ცოკოლზე ალეგორიის ბაზალტია ნახმარი, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთის და სამხრეთ-დასავლეთის გალერიის

თაღედის სკეტზი განჯის ნაცრისფერი მარმარილოთია მოპირეობული.

სტადიონის მშენებლობაზე დიდი ურადვება მქონეოდა მის კონსტრუქციულ გადაწყვეტას, ახალ სამშენებლო მასალების გამოყენებას. რაც მშენებლობას ეკონომიურს ხდიდა.

გამოყენებული იქნა მსუბუქი არმირებული ბეტონი. პროექტით გათვალისწინებული იყო სტადიონის მშენებლობა ქარხნული წესით, ე. ი. ასაწყობ-მონოლითური მშენებლობა ცალკე მდგომ ჩეინა-ბეტონის ჩარჩოებისაგან, მაგრამ საკირი მექანიზაციის უქონლობამ შეცვალა პროექტი. კონსტრუქციათა აგება ადგილზე წარმოებდა. ძირითად კონსტრუქციას შეადგენს ჩეინა-ბეტონის ჩონჩხი პერზა ბეტონის შეცვაბით.

ჩეინა-ბეტონის ჩარჩოებს შორის სივრცე უმთავრესად არტკის ტუფითა შევცვებული. ამ მზნისათვის აგურსა და პერზის ბლოკებსაც ხმარობდნენ. კედლები მზიდავ კონსტრუქციებს არ წარმოადგენდნენ, ისინი მხოლოდ თერმოსაიზოლაციო ტიხარს ქმნიან.

მშენებლობაზე, როგორც ვთქვით ტუფ-ბეტონი იყო გამოყენებული, ხოლო შემავსებლად ნახმარი იყო პერზა. მთელი ჩრდილოეთ ნაწილის კედლები, ტრიბუნები სამიზა იარუსზე, II და III იარუსის გალერეათა ბრტყელ გადახურვათა თითქმის ნახევარი ადგილზეა ჩამოსხმული ტუფ-ბეტონისაგან.

ტუფ-ბეტონის გამოყენება დიდად აიალებდა მშენებლობას, რადგან ტუფის ნაფშვერის დიდი ჩარიცხვით, რომელიც ნარჩენებს წარმოადგენს კედლის ქვის თლის ღრის, ისევე როგორც ანისის პემზა, ძალზე იაფი ჯდებოდა.

ეს რაციონალიზაცია სტადიონის მშენებლობაზე იგრძნობოდა დიდად და პატარა საქმეში, როცე კონსტრუქციებში თუ მოსარჩქავ სისტემაში.

მაგ. კაბერები (მათ ირიბანა არა აქვთ) რომლებიც II და III იარუსებს აკავშირებს, იმითავ საინტერესო, რომ მათ იატაუში ჩამაღლულია დაძაბული შეკვერელები, რომლებიც გათვლილ ძალვას ორგზერ ამცირებენ და სხვ.

ავტორმა გათვალისწინა თბილისური ცხელი ზაფხული და მინდვრის მორწყვის მიწისქვეშა სისტემა დაამუშავა. 40 სმ-ის სილრმეზე, უკველ 2,5 მეტრზე თუნის მილძაბრა მილებით ჩაღმული, რომელთა მეშვეობით წყალი ნიაღავში შედის.

სეციალური საუენი იყო შემუშავებული სარბენი ბილიკისათვისაც, რომლის შემაღებილობამ ბილიკის მაღალი ხარისხი უზრუნველყო.

ამგვარად, მშენებელთა საზრუნვას მარტო ნაგებობა კა არ წარმოადგენდა, არამედ უკველგვარი წვრილმანი (თუკი წვრილმანი შეიძლება ერთ დოს სპორტულ ნაგებობაში სათამაშო მინდონს, სარბენ ბილიკა და სხვ.).

„დინამოს“ სტადიონის არქიტექტურა მარტი-

ვი და სადაა. მისი არქიტექტურული კომპოზიცია, რომელიც ჩაეყიდოს ტრაბიუნითაა წარმოდგენილი, უკრძანობა ვენის ცნობილი სტადიონის ტიპს, მაგრამ აյ იგი თავისებურ სახეს ატარებს.

არჩეულ ტერიტორიაზე სტადიონი თითქმის მაქსიმალური შესაძლებლობითაა ჩასმული. მისასვლელი ჭურები მაყურებელთა დატვირთვა-ევაკუაციის კარგ პირობებს იძლევა, თუმცა ტრანსპორტისათვის ახლო მისვლის შესაძლებლობა გამორიცხულია.

სტადიონის გაბარიტები პასუხობს ტერიტორიის სივიწროვეს. სამხრეთის და ჩრდილოეთის ორი იარუსი მცირე ადგილს იყავებს ვიწრო მხარეზე, ხოლო გრძივი ღერძის მიმართულებით სამსამი იარუსი თავისუფლად თავსდება.

სტადიონის დაგეგმვარება ისეა გადაწყვეტილი, რომ სხვადასხვა ადგილებიდან მაყურებლით ტრიბუნების შეესბის შესაძლებლობა შეიქმნას. ამიტომა შესასვლელთა ასეთი რაოდენობა. (უნდა ითქვას, რომ დასავლეთის მხარეს, ცენტრალურ ნაწილში ექსპლოატაციის დროს შესასვლელთა გაუქმებამ საკმაოდ გააუარესა შევსება—შვაკუაციის პირობებში).

იარუსები — გარშემოსასვლელი გალერიებით და სექციებში ჩასასვლელებით — ადგილად ივერბა (რა თქმა უნდა, მათი ნორმალურად დატვირთვის დროს!). იარუსებად გადაშლილი ტრიბუნები ხედვის კარგ პირობებს იძლევა და აახლოებს

ზედა რიგებში მჯდომ მაყურებელს მიწდორთან. გალერიები ჩრდილოვან გადასასვლელებს ქვეშის და როგორც უცხვე მდგრად მაყურებლისათვის ისე საერთო მოძრაობისათვის მოხრარებულ დამატებით რგოლებს წარმოადგენს. სტადიონზე მხოლოდ მესამე იარუსის განპირო შეარებში არის სულ რამდენიმე ადგილი, სიღრანაც მინდორი კარგად არ ჩანს, სხვა ადგილებიდან კი ხედვა სავსებით ნორმალურია. აյ უნდა აღინიშნოს პარტერი, რომელიც მშენებლობის დროს გაიზარდა. მისი მცირე ამაღლება აღარ კმარა რიგებისათვის და მხედველობის კუთხე აქვედან ურიგავა.

სტადიონის შიდა ხედ დამყარებულია საფეხბუროვან გადასვლაზე და მისგან გამოწვეულ ჩრდილ-სინათლის ეფექტზე. აქ უცელაური მარტივადაა დამუშავებული. იარუსთა პორტიკონტალურად გადაჭიმული ზოლები და ზედა გალერიათა დია ლუნებები ქვემნიან მოძრაობის რიტმს, რომელიც ტრიუმფალურ თაღოთან სტაციური მაცვილით იწყება და მთელი ოვალის შემოვლით აქვთ მთავრობება კიდეც.

მთავარი პორტიკის ტრიუმფალური თაღი ძირითადი აქცენტია სტადიონის არქიტექტურაში. იგი თავიდანვე გადმოცემს სტადიონის საერთო სახეობის ხასიათს. თაღის ხაზგასმული მასშტაბურობა ავლენს მის შინაარსობლივ დატვირთვასაც: სტადიონი მარტო სპორტულ თამაშობათათვის კი არ არის განკუთვნილი, იგი ხალხის მასობრივი

თავმოყრის, საზემო დემონსტრაციების ჩატარების ადგილიცაა ეს თაღი სტადიონის შიდა შემოფარგლულ სივრცეს ხსნის, აკავშირებს გარე სივრცესთან.

შიგნიდან ამ პორტიკს კედლის დამუშავება კონტრასტულია ტრიბუნათა გეერული რვალის სრულიად სადა, „უკედლო“ გადაწყვეტასთან და მითაც იძყრობს უზრადებას. აქ აკორიჩა არქიტექტურული სამკულო შეიტანა და ამით ტრიბუნების მხარეს მინიჭია ის დეკორატიულობა, რომელიც ასე მნიშვნელოვანია ექსტრიერის არქიტექტურულ გადაწყვეტაში. ზედა გამჭოლი გალერეა, და თაღდის მორჩენტული პლაფონი, დამაგვირგვინებელი კარნიზი, რომელიც მოზღვარების კრასს, ერთგვარი გადასასვლელი, დამაკავშირებელი მომენტებია გარე და შიდა არქიტექტურისა.

ეს ერთადერთი ფუნქციით ნაკარნახევი დეკორატული მახვილია სტადიონის სრულიად სადა და მარტივ შიდა არქიტექტურაში, რომელსაც კარგად ეხამება, ასევე ფუნქციურად გამართლებული ლუნეტები ზედა იარუსებისა (კედლები ჰაერის მოძრაობისათვისა და ცხრილული).

ტრიუმფალური თაღიანი მთავარი პორტიკი წამყანია ფასადთა გადაწყვეტაშიც. იგი „მთავარ ფასადს“ წარმოადგენს სტადიონის მოზღვარობაში და თავიდანვე ავლენს ნაგებობის დანიშნულებას. მხატვრულად ეს პორტიკი ყრუ კედლი-

სა და გახსნილი სივრცის დაპირისპირებაშეა აგვ-ბული. ყრ და თაღი, ხოლო შემდეგ გამოყოფილი ლოგია—გალერია, ქმნის სივრცით ამჟაცებს, რუსული დოკუმენტის სივრცით კედლის თავისუფალი ყრუ სიბრტყით.

არქიტექტორი საზემო განწყობის გადმოსაცემად აქ მორთულობასაც ხმარობს, რომელიც ტრინს აძლევს დეკორს ფასადთა მოზღვა არქიტექტურაში. ორნამენტული მორთულობა გამოყენებულია როგორც თაღდის პლატფორმები, ისე გალერიისა და კუთხის სვეტების კაპიტელებშე და ჯამაგვირგვინებელ კარნიზზე. მაგრამ ეს სამკაული ნაძალადევი არ არის, იგი ორგანულია ფასადის არქიტექტურაში.

არქიტექტორი ფასადთა დამუშავებისას ძირითადად მოცულობით ფორმებს იყენებს. ტრიტუნები გარედან, ყველა მხარეს ქმნის სხვადასხვა-გვარ მოცულობებს, რომლებიც სიმეტრიულად არიან განლაგებულნი (თუ არ ჩავთვლით დასავლეთის ლოჟების პორტიკს). ფასადს გრძევი ღრძის მიმართულებით, მკვეთრად გამოყოფილი ცენტრი და ორივე მხარეს დამამთავრებელი ურთებია აქვს. დასავლეთ მხარეს ასეთ ცენტრს ლოჟებში შესასვლელი პორტიკი შეადგენს, ხოლო ფრთებს — და მიზგმული კიბეები. ეს ფასადი თითქოს უკვე თავისითავად დამთავრებულია. იგი ცალკე „ჩაკეტილ“ მონაკვეთს წარმოადგენს, მა-

რამ იმავე დროს იგი არ არის „აშოვარდნილი“ საერთო მოცულობიდან.

ფასადის კედლის დამუშავებაში მთავარია თაღედის თემა, რომელიც ცენტრალურ პორტიკიდან ცრცილდება გვერდებზე და აქ მხოლოდ დეკორატულ მოტივს წარმოადგენს.

ფასადის შემდეგი მონაკვეთი ისევ ცენტრში გამოყოფილი მოცულობითაა გადაწყვეტილი და ა. შ. ამგვარად, სტადიონის ცილინდრის გარე სიბრტყეზე ეს მოცულობები გარკვეულ აქცენტებს სვამენ, გამოყოფენ ტრიბუნების სხვადასხვა მონაკვეთებს, ხახს უსვამენ შესასვლელებს, ემსახურებინა საერთო ფუნქციურ გადაწყვეტას. თვით კედელი ძირითად თავისუფალი არეა, ისე, რომ კარ-სარქმელთა ხერელობები თუ ლიუნეტები კედელს არ ასუსტებენ ფასადის არქიტექტურაში. ზედა სართულის ღია ლიუნეტები ზედა „შემკვერდი რგოლის“ ფუნქციასაც ასრულებს. ასევე გამაერთინებულია თაღედის თემა, რომელიც სტადიონის ცილინდრის სხვადასხვა მონაკვეთზე ხანდაბალი, ხან კი აზიდული პროპორციებისა, ზოგან სივრცით, ზოგან კი კედლის სიბრტყეზე მიღმელი.

ავტორმა კარგად მოძებნა ცენტრალური თაღლიდან გვერდის სიბრტყეზე გადასვლა, (კედელი ღია თაღედზეა შემდგარი). თაღედის პროპორცია დამჭარასი). სვეტბი და კაპიტელები მძლავრად გამოიყურებიან (პროპორციების შერჩევას არქი-

ტექტორს. რა თქმა უნდა, ძველი ქართული არქიტექტურის ძეგლებიც კარნაზობლენტი, კასტრული პროპორციის თაღედი სხვაგანაც არის კაპიტელებისა და სამუშავებისა (მაგ: ლოუებისაკენ, გვერდის შესასვლელში), მაგრამ თუ სხვაგან მისი დეკორატიულობა ჰელმეტადაა ხაზგასმული კიბის ორნამენტული პარავეტით, ან თაღის ორნამენტული არშიით, აქ თაღედს სრული გამართლება აქვს: იგი ჩრდილოვან გაღერისაც ქმნის და თან ერთიან არქიტექტურულ დამუშავებას პასუხობს. სხვაა, რომ კაპიტელებს მოდერნული იერი დაპრავთ, მშრალია ორნამენტის ნახატი და შესრულება. აქვე უნდა იოქვას, რომ ზოგერ თაღედი, თავისი შოხაშულობით არ შეესაბამება ფორმათა საერთო სახეს (ასეთია, მაგ. შეისრული თაღედი მეორე იარუსზე ასაცლელ ღია, მიღმულ კიბებზე და სხვ.). ფასადთა დეკორი ძირითად თავშეკავებულადაა ნახმარი და ცალკეულ ელემენტთა ხაზგასასმელად არის გამიზნული. მისი მიზანი ისაა, რომ ამაღლება განწყობა, რათა სპორტულ ზეიმისათვის განკუთვნილი ნაგებობა უფრო მიმზიდველი გახდეს, და მაინც ზოგ შემთხვევაში სამკაული ზედმეტად გამოიყურება (ასეა მაგ. კედლის დეკორატიული სვეტები, ლოუსის პორტიკის დამუშავება—თაღის არშია, პლაფონი და სხვ.).

ეს დროის ანარქეკლია.

30-იანი წლების დასაწყისში საქართველოში, ისევე, როგორც მთელ საბჭოთა არქიტექტურაში,

სხვადასხვა ფორმალისტურ შიმდინარეობებთან  
ბრძოლის შემდეგ მთელი არქიტექტურული  
ფრონტი მიმართული იყო ახალი, ფორმით ეროვ-  
ნული და შინაარსით სოციალისტური არქიტექ-  
ტურის შექმნისაკენ. ამ, წინააღმდეგობით სავსე  
გზაზე არქიტექტორები უარყოფნენ ცველაფერს,  
ავსაც და კარგსაც, რაც ე. წ. „კონსტრუქტივიზმს“  
გააჩნდა. არქიტექტურა თანდათანობით შეირე  
უკიდურესობისაკენ გადაიხარა. (რის შედეგებმაც  
ცოტა გვიან უკვე აშკარად იჩინა თავი). არქიტექ-  
ტურაში თავი იჩინა „პომპეულრა“ ნაგებობებმა,  
ფასადები შენიშვნი მთავარი ყურადღება მიიყრო.  
იგი ირთვება სხვადასხვა სამყაულით. ხშირად  
ეროვნული არქიტექტურის შექმნის საბაბით  
ბრძად იყენებენ ისტორიული არქიტექტურის  
ფორმებსა და რეპერტუარს. სრულიად სწორად  
დასმული საკითხი ეროვნული არქიტექტურის  
შექმნისა ხშირად სურდათ გადაწყვიტათ მეტად  
იოლი გზით—ძევლი ფორმებისა და ნიმუშების  
პირდაპირ გადმოღვდით.


მაგრამ ამ რთულ პერიოდშიც არის ზოგი ნა-  
წარმოები, რომელიც თავის დროისათვის, მოწი-  
ნავე პოზიციებზე დგას, ნაწარმოები, რომელშიც  
დიდი ყურადღება ეთმობა ნაგებობის ფუნქციურ  
გადაწყვეტას, მშენებლობის ეკონომიკისა და ახალი  
კონსტრუქციების გამოყენებას, საბაც დეკორაც  
შედარებით თავშეკავებულად ვხვდებით. სწორედ

ასეთ ნაწარმოებთა რიცხვს მიეკუთვნება „დინა-  
მოს“ სტადიონიც.

ამ ნაწარმოებში არქიტექტორი არჩილ ქურალე-  
ბობა, რომელიც ეროვნულ-არქიტექტორული  
ფორმებით იქნება ამტკველებული და ამისათვის  
მარტო ძევლი ქართული ძეგლებიდან აღმარ-  
ტობით უკიდურეს მორთულობას კი არ ხმარობს,  
არამედ ნაგებობას მთლიანად ანიჭებს ჩევრი სამხ-  
რთის პირობებისათვის შესაფერ სახეს. (სტადი-  
ონი გახსნილია, შექმნილია ჩრდილოვანი გადასას-  
ვლელები, გამჭოლი სივრცობლივი ელემენტები  
და სხვ.).

რაც შეეხება ფასადთა მხატვრულ დამუშავე-  
ბას, უკვე აღინიშნა, რომ დეკორის გამოყენებას  
ამ ობიექტზე საერთო გამართლება აქვს, მაგრამ  
ცალკეულ შემთხვევაში მათ დახვეწა ესაჭიროე-  
ბათ. კონკრეტული ორანაზენტული მორთულობანი  
უმთავრესად ძევლი არქიტექტურის რეპერტუარ-  
ზე მინდობილი და ნაკლებია სიახლე. რაც თუნ-  
დაც მასალის სხვაობასაც უნდა გამოეწვია. მაგ-  
რამ, „დინამოს“ სტადიონის არქიტექტურის შე-  
ფასებისას ეს არ არის მთავარი.

„დინამოს“ სტადიონზე გამოჩენდა არქიტექ-  
ტორ არჩილ ქურდიანის მისწრავება დეკორატი-  
ულობისადმი. იგი შემდგომშიაც ბევრჯერ უბ-  
რუნდება ძევლი ქართული არქიტექტურის ორა-  
მენტულ სიძლიდრეს. ამუშავებს მას და უკველ-



წყალქომარლობის სალგური თბილისში. 1935.

თვის რაიმე აქცენტისათვის იყენებს. უფრო გვიანაც იგი არა ერთხელ აღნიშნავს, რომ თანა-შედროვე არქიტექტურაში დეკორატული მომენტი სრულიად განდევნილი როდი უნდა იყოს, რომ მისი ლოგიკური გამოყენება მეტ გამომსახველობას ანიჭებს თანამედროვე, სადა და მარტივ არქი-ტექტურულ ფორმებსაც.

„დინამის“ სტადიონის დაპროექტებამ ახალ-გაზრდა არქიტექტორს უკვე მიტყოცედ დაუმკვიდრა ადგილი არქიტექტურულ საზოგადოებრიობაში. იგი მონაწილეობს სხვადასხვა მბიჯების

დაპროექტებაში, თანამშრომლობს ისეთ ცნობილ არქიტექტორებთან როგორიც იყვნენ ნ. სევეროვი, ა. კალგინი, მ. კალაშნიკოვი და სხვ. ასე მაგ.. 1933 წელს იგი მუშაობს მარქსიზმ-ლენინიზმის საქართველოს ფილიალის შენობის პროექტზე. შემდეგ კი, როცა დახურული კონკურსი გამოცხადდა, აქტიურ მონაწილეობას ღებულობს კონკურსის ჩატარება-ორგანიზაციაში, როგორც სამშენებლო ორგანიზაციის წარმომადგენელი (ამ კონკურსში მას მონაწილეობს არ მიუღია).

1934-35 წლებში არჩილ ქურდიანი განაგრ-

ძობს საორტულ ნაგებობათა დაგეგმარებაზე მუშაობას. იგი აროექტებს საჩივებულოს სტადიონს, სოხუმის სტადიონს, მუშაობს თბილისის ლენინის სახელობის სტადიონის რეკონსტრუქციაზე. 1934 წელს იგი ადგენს ფიჭულტურის კომინატის პროექტს თბილისში, ვაკისათვის. ეს პროექტი შედგენილია მეუღლესთან, არქიტექტორ ქეთევან სოკოლოვა-ორბაგიშვილთან ერთად (შემდგომში მათ არა ერთი და ორი პროექტი შექმნეს).

1936 წელს არჩილ ქურდიანი ქალაქ თბილისის მთავარ არქიტექტორად ინიშნება და ცხრა წლის მანძილზე მუშაობს ამ პოსტზე.

არჩილ ქურდიანის ეს დანიშნვა თანხვდა ქალაქ თბილისის რეკონსტრუქციის მეტად მნიშვნელოვან პრიორდს. სწორედ ამ დროისათვის თბილისი, ეს უძველესი ქალაქი, პირველად დემუსტობს რეკონსტრუქციისა და განაშენიანების გენერალურ გეგმას, რომელიც ქალაქზე შენებლობის მცირებულ საფუძვლებზეა დამყარებული. ამ პერიოდში თბილისი სრულიად იცვლის სახეს. მშენებლობის ფართო მასშტაბი, ახლო ობიექტები, ადმინისტრაციული თუ საცხოვრებელი ნაგებობანი, საზოგადოებრივი შენობები და, ბოლოს, ახლო სანაპიროები, მაგისტრალები და მოედნები სახეს უცვლიან, სილამაზებს მატებენ საქართველოს დედაქალაქს. რაღა თქმა უნდა, ქალაქის მთავარი არქიტექტორი ამ დიდი სამუშაოს მონაწილეა.

1938 წლიდან არჩილ ქურდიანი მთავარი არქიტექტორის მოვალეობას უთავსებს საპროექტო ტრესტ „თბილქალაქის რეგიონი“ ხელმძღვანელი დობას.

ამ პრიორდში არქიტექტურული ცხოვრება სჩედრულის, საქართველოს ქალაქები და სოცელები ახალშენებლობათა ხარისხშია. უართოდ გაშლილ მშენებლობაში დიდია არქიტექტორთა როლი. ქართველ არქიტექტორთა პროფესიული დონე და შესაძლებლობები მკვეთრად იზრდება. უართოვდება არქიტექტორთა შემოქმედების გეოგრაფიული დიაპაზონიც. ქართველი არქიტექტორები სხვა რესპუბლიკების წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობენ მოსკოვში სასოლო-სამუშაოების მშენებლობაში.

ეს გამოფენა გააჩირებული იყო. როგორც სოციალისტური სოცლის მეურნეობის მიღწევათა და საბჭოთა ხალხთა მეგობრობის მკაფიო ჯემონსტრაცია. გამოფენა გულისხმობდა მიღწევების ჩვენებას ცალკეული რესპუბლიკების მიხედვით.

თავდაპირველად პავილიონი ამიერკავკასიის სამივე რესპუბლიკასთვის იყო განკუთვნილი და იგი არქ. მ. შავიშვილის, ი. ჩხერიელისა და გ. ჩახანიძის პროექტის მიხედვით შენდებოდა. 1938 წლისათვის მშენებლობის დამთავრებას ბევრი აღარაფერი აკლდა.

ეს პავილიონი გეგმაში . ი. — მაგვარი იყო.

გვერდის ფრთხი წინ იყო გამოწეული ისე, რომ  
ცენტრალური ნაწილი 20-ში მ კურდონერის ში-  
და ფრთხონტს ქმნიდა. ფრთხის პორტიკებიდან შე-  
სასვლელები იყო ცალ მხარეს სომხეთისა და მე-  
ორე მხარეს აზერბაიჯანის დარბაზებში. ცენტრ-  
ში — საქართველოს დარბაზი. ფაქტიურად ეს სა-  
მი დარბაზი განსაზღვრავდა მთელ გეგმას. ცენტრ-  
ში, უკანა მხარეს პავილიონს მწვანე ირანურეა  
ემატებოდა.

მოცულობათა კომპოზიციაში მთავარ აქცენტს  
ცენტრალური ნაწილის 25 მეტრიანი სიმაღლის  
კოშკი წარმოადგენს. გვერდის ფლიგელებში შე-  
სასვლელები ორივე მხარეს ხავგასმულია სამა-  
ლიანი თაღედით. ცენტრალურ პავილიონში შე-  
სასვლელი კი ყრუ კედლის ფონზე გამოყოფილი  
ორნამენტული მოჩირჩიოებით შექმნილი პორტა-  
ლის სიგანეზე გაშლილი სწორკუთხედით.

ფასადთა არქიტექტურა, მათი საერთო არქი-  
ტექტურული ფერი (პორტიკი, თაღედი და სხვ.)  
სხვადასხვა დარბაზისათვის სხვადასხვაგვარად მო-  
შავდებოდა. აზერბაიჯანის დარბაზისათვის აზერ-  
ბაიჯანული არქიტექტურით, სომხეთის — სომხუ-  
რით, საქართველოსი — ქართული არქიტექტუ-  
რული მოტივებითა და მორთულობით. ამას ემა-  
ტებოდა მომრგვალებული მოხაზულობის შეწყვი-  
ლებული სვეტების მწრივი, რომელიც გვერდის  
ფლიგელებს ცენტრთან აერთებდა და ამით კიდევ

უფრო ართულებდა ფასადთა საერთო არქიტექ-  
ტურას.

რაღა თქმა უნდა, საფუძველშივე მცდელობრივი  
გომა ერთიანი შენობის სხვადასხვა, განსხვავ-  
ბულ არქიტექტურული მოტივებით დამუშავებისა.  
მეტად ხელოვნურ, ელევტიკურ კონგლომერატს  
იძლეოდა. ავტორთა სურვილი, რომ შენობა გაე-  
რთონ ენგაზარით ერთიანი არქიტექტურული თემით.  
მიუღწეველი რჩებოდა, კარდინალურად განსხვა-  
ვებული არქიტექტურულ მოტივთა (სამი რეს-  
პუბლიკის შესაფერ არქიტექტურის მიხედვით) გა-  
მოყენების გამო.

შეცდომა დროულად იქნა გამოსწორებული:  
გადაწყდა რესპუბლიკებისათვის ცალ-ცალკე აშე-  
ნებული პავილიონები, ხოლო ეს, კერ დაუმ-  
თავრებელი პავილიონი მთლიანად საქართველოს  
დაეთმო.

1938 წლის ნოემბერში, პროექტის შედგენა  
არქიტექტორ არჩილ ქურდიანს დაევალა. პროექ-  
ტი შედგა არქიტექტორ გიორგი ლევაცას მონაწი-  
ლეობით. იმის გამო, რომ ვადა ძალზე მცირე იყო  
(გამოფენა 1939 წლის ზაფხულში გაიხსნა) არქი-  
ტექტორის აზრი არსებულ ნაგებობის გამოყენე-  
ბისაც წარიმართა. არჩილ ქურდიანის მიერ წარ-  
მოდგენილი რეკონსტრუქციის პროექტი ინარჩუ-  
ნებდა არსებულ სადგომებს. შენობის ძირითად  
კონფიგურაციას, რითაც მისი საფუძვლიანი ნგრე-  
ვა თავიდან იქნა აცილებული.

ახალი პროექტით პავილიონი კვლავ სამი ძარითადი დარბაზისაგან შედგებოდა, რომელიც „გა-ს-მაგარად უკავშირდებოდა ერთმანეთს. არჩილ ქურდანის პროექტზე ცენტრალური ნაწილის კოშეი მოიხსნა. კურდონერი წინა მხრიდან სკეტნარით შემოიფარგლა და ამით შიდა ეზოვესტიბიული შეიქმნა.

გვერდის ფრთხებზე შენობას მიეღდა გალერია—სტაა, რომელსაც პავილიონის სამხრეთ ნაწილში შენობასთან მიშენებულ ორანჟერეისკენ მიყვართ. ორანჟერეის ფართობი 700 კვმ-ია.

გვერდის ფრთხების წინ ადრინდელ პროექტზე არსებული პირტკები მოიხსნა. მთავარი ფასადის მხარეს დარჩა განაპირა თაღით ფლანკირებული ყრუ კედლები.

ცენტრალურ დარბაზში, კოშეის მოხსნასთან დაკავშირდებით, მოიხსნა მისი დამშერი სვეტებიც და დარბაზს თავისეუფალი სივრცე შეემატა.

ამრიგად, პავილიონში შემსვლელი ცენტრალურ და ეზო-ვესტიბიულის გავლის შემდეგ ხვდება მთავარ, წახნაგვან დარბაზში, რომელსაც ორივე მხრიდან მისეუნ მართობულად მიმართული დარბაზები ერტყმის. გვერდის დარბაზები ორ-ორი სადგომისაგან შედგება. დარბაზები სამშერივ ერტყმის გარს სხენებულ ორანჟერეას, რომელიც შესასვლელის პირდაპირ, მთავარ დარბაზის ლერძის გაგრძელებაზე მდგრადობს.

პავილიონის ინტერიერში კედლები ექსპოზი-

ციისათვისაა განკუთვნილი. შესასვლელები მოჩარჩინებულია მდიდრული ორნამენტული მოწყლობით. კართა ხველობები გაფორმებულია ქართული დარბაზის ერდოს მოტივით გამოყენებული დარბაზების პლაფონთა დამუშავებაშიც.


მთავარი დარბაზიდან ორანჟერეისაკენ მიმართული კედლის დიდი ფართობი მინის ვიტრინას უკავია, ისე რომ, შემსვლელი თავიდანვე ხელავს ორანჟერეის მარადმწვანე ნარგავებს (ორანჟერეა მინის საბურავშია ჩაღმული).

მთავარი ფასადის ცენტრალური ნაწილი ამაღლებულია. წვრილი, შეწყვილებული, ტანადი სვეტები, რომელიც ზევითენ ფართოვდებან, თაღების შვიდ მალს ქმნიან. ფასადი ცენტრში კარტუშიანი ცრონტონითაა დაგვირცვინებული. თაღების უკან კედლები, რომელიც სამშერივ გარს ერტყმიან შიდა ეზოს, ორნამენტული ხალიჩითაა დაფარული. დარბაზში შესასვლელი ფართო ჩარჩინებითაა გამოყოფილი.

ეზოში მარჩარილოს იატაკია დაუენილი. შეუაში ორი აუზია, რომელთა კომპოზიციაში ტორშერებია ჩართული.

ორივე მხრიდან ეზოს ფარგლავენ დაბალი გვერდის დარბაზები. რომელთაც ამ მხარეს ყრუ კედლები აქვთ.

გვერდის ფასადებზე სტაა-გალერია ფასადის მთელ ფრინტს მიჰყება. ფასადთა ყრუ სიბრტუ-



საქართველოს სსრ პავილინი  
სახოლო-სამეცნიერო გამოფენაზე  
მოსკოვში გეგმა 1938

ებზე გარევეული ბიჭის დაცვით გამოდის ლითონის აუტორული ორნამენტით დაუზარული ხერელობული, რომლებიც ატმოსფერულ ნალექთა საზოგადო წარმოადგენენ.

მთავარი ფასადის წინ, ცენტრალური ღერძიდან მარჯვნივ, დაბალ კვარცბლბეჭვებზე დგას ქანდაკება, რომელიც კოლმეურნე ქალ-ვაჟისა და ბავშვის ფიგურებისაგან შედგება.

პავილიონისათვის ძირითად საშენ მასალად ხეა გამოყენებული. კონსტრუქციებიც ხისაა. პორტიკის მზიდავი კონსტრუქციები. — პილართა გვერდებზე მოთავსებული, შედგენილი კვეთის დგარებია. პორტიკის სვეტები — ხის, შედგენილი კვეთის ძელებია. ცენტრალური დარბაზი 14 მ მალის ხის ფერმებით იხურება. მხოლოდ ორაუზერებშია გამოყენებული რკინის კონსტრუქცია, ქვა და მინა. ბუნებრივი ქვით — ქართული მარმარილოთი მოპირკეთებულია იატაები და შალრევნები. ფასადები ლია-მოყვითალო ფერადაა შელესილი.

პავილიონის არქიტექტურა მარტივი, მაგრამ მეტად მეტყველია. იგი ამაღლებულ, საშეიმო განწყობას ქმნის. მისი სისაძავე კარგად გამოხატავს საგამოფენო ნაგებობის დანიშნულებას, ხოლო მსუბუქი, ლაკონიური ფორმები, მათა საღი დეკორატიულობა მიმზიდველობას ანიჭებს მას.

არჩილ ქურდიანმა მარტივი გეგმა აირჩია. მოძ-




ეროვნული  
ბიბლიოთის

რაობის გრაფიკი ისეა შერჩეული, რომ დამთვა-  
ლიერებელი შეუცემრებლივ ეცნობა ექსპონა-  
ტებს. შეა დარბაზი და მის ორსავ მხარეს პერძენ-  
დიულარულად მიღვმული დარბაზები ერთვარი  
ჩარჩო ორანჟერეისათვის. უკანასკნელს კი პავი-  
ლიონში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი ეთმობა. ეს  
ციტრუსოვან, მარადმწვანე, ექსპონატებით სავსე  
„ცოცხალი დარბაზია“, რომელიც სახით ან ბუ-  
ტაფიორიულ ექსპონირებას ნამდვილ ბუნებას უმი-  
რისპირებს.

მთავარ დარბაზში, კედლი ორანჟერეისეკენ  
მინის ციტრინითაა „გაბანილი“. ამით კომპოზიცი-  
ურად გამოიძნილია გამაწონასწორებელი მომენ-  
ტი ძირითადი დარბაზის ღერძის მიმართულებისა  
(დარბაზისა და ორანჟერეის გრძივი ღერძები ურ-  
თიერთბერებულიყულარულია).

მწვანე ნარგავთა ღრმა პერსპექტივი, რომე-  
ლიც შენობაში შემსვლელს თავითანედ ხელება  
თვალში, აღიდებს მთავარი დარბაზის სიღრცეს.  
გარდა ამ წმინდა კომპოზიციური გადაწყვეტისა,  
თვით ნარგავთა ცხოველხატულობა, რომელსაც  
სტენდების ანტურაუზი საქართველოს ცოცხალი  
ბუნება შეაქვს—მეტად ეცვექტურია.

პავილიონის არქიტექტურაში მთავარმხატვ-  
რულ მახვილს მისი კომპოზიციური ბირთვი —  
ეზო-ვესტინგული ქმნის. იგი თავიდანვე იწვევს იმ  
ამაღლებულ, სახეიმო განწყობას, რომელიც დამ-  
თვალიერებელს სულ თან სდევს. ერთსა და იმავე



საქართველოს სასა პავილიონი  
მთავარი ფასადი.

დროს იგი აერთებს შიდა სადგომებს, ეპატიურ-  
ბა მომსვლელს და გარე და შიდა სივრცეებსაც  
აკავშირებს ერთმანეთთან.

მთავარი ფასადის პორტიკის აზიდული პრო-  
პორციები, მასი გამყოფა გვერდის მოცულობები-  
საგან თავიდანვე იპყრობს უურალებას. აქ გარ-  
კვეულ როლს ასრულებს წინ დაგმული ქანდა-  
კებაც (მოქანდაკე ვ. თოფურიძე) რომელიც შენო-  
ბისაგან, განცალკევებულია. მაგრამ მხატვრულად  
დაკავშირებულია მასთან. ქანდაკება ფასადის მი-  
მართ ირიბადა დადგმული. ამით ქუჩის დინებაში  
იქმნება პაუზა, რომელიც ნეიტრალური კი არაა,  
არამედ შენობისაკენ სკამს მახვილს. გამვლელის  
მზერა ჩერდება ქანდაკებაზე. რომლის მიმართუ-  
ლებას იგი შენობაზე გადაჰყავს. აქ ქანდაკება

მარტო საკოლმეურნეო თემის ილუსტრაცია კი  
აჩაა, არამედ მთლიანი არქიტექტურული ორგა-  
ნიზმის აღქმისათვის გამიზნული ელემენტი.

ეზო-ვესტიბიულის პირტკიყი საერთო საფა-  
სადო ხაზიდან წინ არის გამოსული. მისი სიმაღლე  
სჭარბობს გვერდის ფრთხებს. მსუბუქი კოლონა-  
დაც კონტრასტულად გამოიყოფა უკანასკნელის  
კედლის ყრუ, დაბალ სიბრტყესა და თაღედთან  
შეფარდებით. პირტკიყის თაღედი შედგმულია  
მსუბუქ, მომრგვალებულ სვეტებისაგან შედგა-  
ნილ კოლონებზე. ეს კოლონები ზევიდან ქვევით  
ვიწროვდება, რაც ცხოველხატულ კაპიტელებთან  
ერთად განსაკუთრებულ დეკორატიულობას ანი-  
ჭებს მას.

კაპიტელები ფორმათა დანაწევრების ეფექტ-  
ზეა გათვალისწინებული ერთი შეხედვით ძალის  
რთულსა ჰგავს, მაგრამ სინამდვილეში ასე არაა.  
ფაქტორად, მისი ფასადური, თავისუფალი სიბრ-  
ტყეები ერთი ფოთლოვანი ნახატითა შევსებულია.  
ფონს დიდი არე აქვს, მაგრამ შემადგენელ მოცუ-  
ლობათა დინამიურობა და ამით გამოწვეული შუქ-  
ჩრდილი არაჩევულებრივ დეკორატიულობას ანი-  
ჭებს კაპიტელს. ამ მხრივ მნიშვნელობა აქვს კაპი-  
ტელის ძირს შემოყოლებულ მსხვილ გრძების და  
ბრტყელ სწორკუთხა აბაკს, ვიწრო ტანიდან ვო-  
ლიუტებზე გადასვლას და სხვ.

კოლონადა აუტრულია, ჰაეროვანი და რაკი  
გვერდის ფრთხები დაბალია, ამ კოლონადიდან ყო-

ველთვის იხედება მზის შუქი, იგი შუქ-ჩრდილის  
საინტერესო ეფექტს იძლევა, პავილიონს „ნამზარ-  
თულობას“ ანიჭებს. მზის შუქი მთელი ზღვა ეფუ-  
ნება ეზოს, მაგრამ ისე რომ ამ ეზო-ვესტიბიულში  
ჩრდილიც არის და სიგრილეც.

ეზოს მარმარილოს ხალიჩა საერთო დეკორა-  
ტიული გადაწყვეტის საფუძველია. მასშეც „აღმო-  
ცენტრული“ ეზოს კედლები, მთლიანად დაუარუ-  
ლი ჩელიეცური გეომეტრიული ორნამენტით,  
რომელიც დღაგონალურ კვადრატებს ქმნის. ამ  
კვადრატებში ჭადრაკული რიგით განლაგებულია  
აუტრული გირჩები, რომელსაც სარკის ნატე-  
ბია ჩადგმული (შიგნიდან ხელოვნური მინათე-  
ბით).

ნაძერწი ორნამენტისაგან შემდგარი ეს ხალიჩა  
კიდევ უფრო მიზიდველი ხდება სარკის ნატება-  
გან ანარეკული შუქის მეოხებით, რომლებიც ერთ-  
გვარ სიმსუბუქეს მატებენ კედლებს (ამდენად, შე-  
ნობასაც). აა რას წერდა თვით ავტორი ამ კედლის  
მორთვის შესახებ: „В Грузии была и в настоя-  
щее время распространена культура чеканки по  
золоту, серебру, резьба по камню и дереву.  
Собственно ювелирное искусство достигало исклю-  
чительно высокой ступени развития. при чем,  
в чеканке орнаментированной плоскости обычно  
вкрепляли драгоценные камни. Так, вот, этот  
прием мною и перенесен в крупном масштабе  
на стены дворика, где драгоценные камни за-

менены зеркальцами с цветными паукообразными ребрами, создающими своим отображением в зеркале впечатление граненного драгоценного камня" да маრтоллаც, მოუხედავად იმისა რომ, თვით კვადრატების მასშტაბი ზედმეტად გაფილტულია, რაც გაუმართლებელ „მონუმენტურობას“ ანიჭებს კედელს, ამ ხალიჩით გამოწვეული ეფექტი მეტად მეტყველია.

მსუბუქი კედლების შექმნის მიზანი თავის გაგრძელება პოლუობს კუთხის ბურჯებშიაც. აქ კედლი „გამომდებულია“, შექმნილია რამდნომდე სართულად განლაგებული ნიშები, რაც სიმსუბუქესთან ერთად შექ-ჩრდილით გამოწვეულ ეფექტსც აძლიერებს. ამ ნიშებში ჩადგმული ტორშერები მათ კიდევ უფრო დეკორატიულს ხდის, ხოლო ტორშერები, რომლებიც აუზებთან დგას, მთელ ეზოს ინტიმურობას მატებს. გადაუსურავ სივრცეში ისეთი განწყობა იქმნება, თოთქოს ინტერიერში ხართ. ეს კი ქმნის გარე სივრციდან შიდაზე გადასვლის ჰარმონიულ საფეხურს.

ამრიგად, ეზო-ვესტიბიულის მნიშვნელობა პაკილიონის არქიტექტურულ კომპოზიციაში ძალიან დიდია, ხოლო საერთო მხატვრულ ეფექტში მას მთავარი, გადამწვევეტი როლიც კი უჭირავს.

ეზოს ოქმა სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე სხვა პაკილიონებშიაც გვხვდება. მაგალითად უზბეკეთის სსრ პაკილიონში, მაგრამ საქართველოს პაკილიონისაგან განსხვავდით, იქ ეზო გახსნილია,

უფრო კურდონერს წარსოლგენს. იგი ცალკე ესე-მენტია. შენობა კი შემდეგ იწყება, მაშინ, როცა საქართველოს პაკილიონში იგი არქიტექტურულ მორგანიზმის განუყოფელი ნაწილია და საზეიმო ვესტიბიულის როლს ასრულებს.

ღიღღ უფრადლება აქც დაომობილი პაკილიონის საერთო იერის გამოხატვისათვის ლამის განათებასაც, რომელიც კარგად გამოყოფს მთავარსა და მეორეხარისხოვან ელემენტებს.

გვერდის ფასადები ცენტრალურ პირტკუთან შედარებით სრულიად სადადა დამუშავებულია. მთელ სიგრძეშე მათ სტა-გალერია მიმუვება, რომელიც მოხსერხებული გადასასვლელია ორანჟერეისა და სუბტროპიკული ბალისაენ. ამავე ძროს, იგი შექ-ჩრდილით აცოცხლებს გვერდის ფრთხის ურუ სიბრტყებებს. ამ კედლის სიბრტყებზე უფრადლებას იყერობს ბრინჯაოს არნამენტული ჩანალგარიანი ხერელობები, რომელებიც წვიმისადენს წარმოადგენს. მათ შორის მოთავსებული დროშების ჩასამაგრებელი კრონშტეინები და მოჩუქურთმებული კარნიზი დეკორატიულ მახვილებს ქმნიან უასადის საერთო საბა არქიტექტურაში.

დეკორატიულობა გრძელდება შენობის ინტერიერშიც. დარბაზებში შესასვლელები მოჩარჩოებულია ხეზე კვეთილი ორნამენტით, რომელიც „დარბაზის“ დედაბობის მოტივებს ემუსარება. „დარბაზის“ გვირგვინის პრინციპითა აგებული ცრუგუმშენები, მორთული ფრიზიც და სხვ. ინტე-

რიერთა გაფორმებაში ავტორს ქართული ხალხური არქიტექტურიდან ერთი თემა აკვს აღმოჩენი და მას ამჟავებს. ეს არის გლეხის „დარბაზის“ გაფორმება, იგია ინტერიერში დეკორატიულ მოტივთა გამოყენების მთავარი წყარო.

არჩიგად, პავილიონის არქიტექტურაში არჩილ ქურდიანი დიდ ყურადღებას უთმობს დეკორატიულობას, რომელიც საერთო იდეას (პავილიონი საზეიმო, ხალისიანი, სიძიდიდრის გამომხატველი უნდა იყოს) ემორჩილება როგორც ზევით დავინახო, ეს ამოცანა არჩილ ქურდიანმა ზომიერების გრძნობის დაცვით გადაწყვიტა.

ეს ისე არ უნდა იქნას გაგებული, თითქოს პავილიონის არქიტექტურა სრულიად უნაკლოა. მაგ, ინტერიერში, მიუხედავად იმისა, რომ ერთიანი, „დარბაზის“ თემის გამოყენების გამო დაცულია მხატვრული ტაქტი და ჩანს ავტორის მისწრაფება მთლიანობისადმი, მანც ჭარბადაა ნახმარი დეკორი. საგამოფენო დარბაზებისათვის იგი ზედომეტ მნიშვნელობას იჩემდება, ასეთ შემთხვევებში ხომ ნეიტრალური ფონი უნდა შეიქმნას, იმისათვის, რომ თვით ექსპონატებზე გამახვილდეს ყურადღება. ეჭო-ვესტიბულის შიდა კედლებზე სვეტები თითქოს ამონდერალან კედლიდან. აქ არ არის ორგანული შერწყმა ორი არქიტექტურული ელემენტისა. მთავარი ფასადის ტანადი სვეტები აქ „მოჩიხილია“, ირგვევა პროპორცია, რაც, ბუნებრივია, დისონანსს იწვევს არქიტექტურულ ხატში.

უფრო წვრილი ზომის კვადრატებს თბოლულის თვალი კედლის ხალიჩაშე. დიდი ზომის კუტრელული ბი თდანაც ამბიმებენ კედლის დეკორატულ ფონს გადასაცემის მაგრამ ეს ნაკლოვანებანი არ არის კვადრატული, 30x 30 ჩრდილავს პავილიონის დირსებებს.

პავილიონის არქიტექტურაში უკვე სავსებით გამოჩენდა არჩილ ქურდიანის მისწრაფება, თანამედროვე არქიტექტურა შექმნას ეროვნულ პრინციპებზე დაურჩნიობით. მას მიაჩინა, რომ თანამედროვე არქიტექტურული ნაწარმოები ეროვნული ხასიათის უნდა იყოს. ეს აშეარაც ჩანდა ჭრა „დინამის“ ხტადიონის არქიტექტურაში, ხოლო პავილიონის არქიტექტურაში, საღაც ავტორს სამისოდ მეტი შესაძლებლობაც ქვენდა, მორული სიგრძე-სიგანით გამოვლინდა.

საქართველოს სსრ პავილიონში ძირითადად სწორადა გადაწყვეტილი ეროვნული პავილიონის შექმნის საკითხი. აქ ავტორმა ცალკეული დეტალებით კი არა, არამედ საერთო არქიტექტურული სახით გადაწყვეტა მისი ეროვნული იერი. მკაფიო, სადა ნათელი კოლორიტის მქონე კომპოზიცია ამეტეველებულია ცხოველხატული, მსუბუქი არქიტექტურული ფორმებით. იმავე დროს მიღწეულია გარკვეული მონუმენტურობაც. შენობის დეკორატიულობა ამაღლებს სახეიმო განწყობას და პასუხობს ნაგებობის „პავილიონურა“ დანიშნულებას. დეკორატიული გადაწყვეტა ემყარება ქართულ არქიტექტურაში ღრმად გამჭვირება ქართულ არქიტექტურაში ღრმად გამჭვირება.

მისიწრაცებას საღი მორთულობისადმი, აგებულია ერთ ოქმაზე, ხოლო დეკორი ძირითადად თავშეკავებულადაა ნახმარი.

აქ გადამწყვეტი თვით ქართული სამკაულის ხმარება კი არ არის, არამედ საერთო მიდგომა, რომელიც ასეციაციას იწვევს არა ცალკეულ ძეგლებთან, არამედ ქართული არქიტექტურის პრინციპებთან (მაგ პორტიკის სვეტები აშკარად დედამიშიდან გამომდინარებოს, მაგრამ მისი ასლი კი არ არის, არამედ შემოქმედებითი ტრანსფორმაცია და ა. შ.).

პავილიონი ეროვნულია არა დეტალებით, არამედ გააჩირებით, არქიტექტურული სახის გახსნით და ესა მისი დიდ დირსება.

საქართველოს სსრ პავილიონი სასოფლო-სამეცნიერო გამოფენაზე არა მარტო აკტორის, არამედ, საერთოდ ქართული საბჭოთა არქიტექტურის წარმატება იყო.

პრესა საქართველოს პავილიონს სხვებთან შედარებით უკეთესად ცნობდა. ადნიშნული იყო ისიც, რომ პავილიონის არქიტექტურის საზეიმო ხასიათი და მომხიბლელობა დამთვალიერებელთა შველაზე დიდ რიცხვს იზიდავს. შემთხვევითი არ იყო ისიც, რომ როცა 1954 წელს სასოფლო-სამეცნიერო გამოფენის რეკონსტრუქცია გადაწყდა, საქართველოს პავილიონი ხელუხლებელი დარჩა.

იმ პერიოდისათვის, როცა ეროვნული არქი-

ტექტურის შექმნის ტენდენცია ჩშირად მცდარ გზაზე მიედინებოდა და ბოლოს „უცრაულაშირი“ ყალბი არქიტექტურის შექმნის გზას დაადგა, ჰქონდა იწყო ზედმეტობისა და ფორმალიზმის გამოვლენა. ბუნებრივია, სასოფლო-სამეცნიერო გამოფენაზე საქართველოს სსრ პავილიონის არქიტექტურას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა.

არჩილ ქურდიანს ამ შენობისათვის სახელმწიფო პრემია მიენიჭა და იგი დაჯილდოებულ იქნა ლენინის ორდენით.

ამ პერიოდში არქიტექტორი სხვა პროექტებზეც მუშაობს. მათ შორის არის სატუმრო „ტურისტი“ თბილისისათვის, ახალგაზრდობის სასახლე თბილისში და სხვ., რომელთა განხორციელებაც ვერ მოხერხდა.

შენებულ ობიექტთაგან აღსანიშნავია ორი საცხოვრებელი სახლი თბილისში, რომელთაც მიუწერდავად დანიშნულების ერთიანობისა, სხვადასხვაგვარი გადაწყვეტა აქვთ. აქ სრულიად განსვენებული მიდგომა ჩანს.

სანაზ თვით ცალკე ნაგებობის განხილვაზე გადავიდოდთ, თავშივე უნდა ალინიშნოს, რომ მათი დაპროექტების დროს ავტორი აუკა იმ დროს უკვე საქაოდ გავრცელებულ მოვლენას — ფასადებით გატაცებას. უცრალდება უცრო ფასადების გაფორმებაზე იყო გადატანილი, ვიდრე გეგმის რაციონალურ გადაწყვეტაზე, მოხერხებულობაზე,

ეკონომიკურობაზე. ამიტომ ეს შენობები თითქმის არ გამოიყოფიან საერთო სურათიდან, მაგრამ ერთგვარი ინდივიდუალობა მათ მაინც აქვთ.

1939 წელს რუსთაველის პროსპექტის დასაწყისში დამთავრდა დიდი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. ეს სახლი პირველია, როცა ლენინის მოედნიდან რუსთაველის პროსპექტისაკენ მიღიარათ. შენობის ვიწრო ფასადი ლენინის მოედანზეც გადის, მთავრი ფასადი კი რუსთაველის პროსპექტზე გადაჭიმული, ერთ დიდ კვარტალს იკავებს და მომზრგვალებული კუთხით გვერდის ქუჩისაკენ ჩადის. ამ სახლის მშენებლობას პროსპექტის რეკონსტრუქციისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. პროსპექტის ეს მონაკვეთი ძალზე ვიწრო იყო; აქ მდგომი ე.წ. ქამანთ უკლესისა და ორი ძველებური საცხოვრებელი სახლის დანგრევით შესძლებლობა შეიქმნა ქუჩა 13 მეტრიდან 40 მეტრამდე გაფართოებულიყო. ამით რუსთაველის პროსპექტი ქალაქის ცენტრალურ მოედანს ვიწრო ულის ნაცვლად ფართო მაგისტრალით უერთდებოდა და, გარდა ამისა, თვით სახლის აშენებით პროსპექტის ეს მონაკვეთიც ახლებურ, თანამედროვე უდრიადობას იძენდა.

შენობის გეგმა ძირითადად ორი და სამოთახიანი ბინების სექციებისაგანაა შემდგარი. ქვედა სართული მთლიანად სავაჭრო და საყოფაცხოვრებო დაწესებულებებისათვის არის გამიზნული.

ავტორები (ა. ქუჩლიანთან ერთად ამ სახლის

პროექტის ავტორებია არქ. მ. მელია და ს. ყუბა-ნეიშვილი) შენობის დიდი ფრანგტის გამო დანაწევრების ორი ხეზი აქვთ ნახმარი: დიდი კორინთული თული ორდერი შენობის იმ ნაწილზე, რომელიც ატიკის სართულითა დაგვირგვინებული, ლოგი-ებს ფარგლავს და გარევეული ინტერვალის შემ-დეგ მოორდება. შენობის ქვედა ნაწილში კი იგი სარკმელთა შორისაა გამოყენებული. ამდენად ეს დიდი ორდერი, რომელიც პილიასტრების სახი-თა წარმოდგენილი, შენობის მოელ ფასადს მთლიანად ჰკრავს კიდეც და, იმავე ღრძოს, (რაინ სხვადასხვა რიტმითა ნახმარი), ფასადს ორ ნაწი-ლად ჰყოფს. ამ ორ ნაწილს შორის სიმაღლის მი-ხედვითაცა განსხვავდა (ავტორების არ უნდო-და ლენინის მოედნისებინ შენობას ძალზე დიდი სიმაღლე ჰქონდა). მაგრამ ეს განსხვავდა მხო-ლოდ იმისათვისა, რომ გრძელი ფასადი მოსაშუა-ნი არ იყოს. ცოკოლის სართულის დამუშავება და ერთიანი რუხი ფერადოვანი ზოლი, ისევ რო-გორც მთელი ფასადის მოყვითალო ტონი, ერთი-ანი ორდერის ხმარებისას საკმარისი აღმოჩნდა, რათა ეს გადასვლა თითქმის შეუმჩნეველი დარჩე-ნილიყო. ერთი კია, რომ ავტორებმა ვერ აიცი-ლეს თავიდან იმ დროისათვის ასე რიგად დამახა-სიათებელი მორთვა ფასადისა სხვადასხვა ელე-მერტებით (პილიასტრები, სარკმელთა მონარქიული რუსტიკით, ბალუსტრადიანი პარაპეტი და სხვ.).

აქ ავტორი ღალატობს ეროვნული არქიტექტურის შექმნის ძიების გზას. ჩუსტაველის პროსპექტის ამ მონაცევთზე მდებარე მუზეუმის შენობის ფასადი კი სრულ შესაძლებლობას იძლეოდა ძიება ამ მიმართულებით გარემონდებულყო.

სრულიად სხვა პრინციპები დაყრდნობილი ბარათაშვილის ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელი სახლის ფასადთა არქიტექტურა (ს. დემჩინელთან და გ. ჭანდიდერთან ერთად, 1940). ეს სახლი ძველი თბილისის ტიპიურ საცხოვრებელ სახლთა ადგილზეა აგებული. ამ სახლების ადგით ქუჩა გაცაროვდა, გარდაიქმნა. ქუჩის გაბარიტებმა თავისთვად განსაზღვრეს შენობის მასშტაბი, ხოლო ადგილმდებარებამ (ძველი თბილისის უჯანზე), ქართული არქიტექტურის მოტივების გამოყენება უკარნახა ავტორებს.

საცხოვრებელი სექცია შედგება სამი ორ სამოთახანი და ერთი ორთახანი ბინისაგან. მაგრამ ბინებს არა აქვთ სამხრეთის პირობებისათვის ასე აუცილებელი აივნები ან ლოგიები. მცირე „ფრანგული“ აივნები, რადა თქმა უნდა, მათ ვერ ცვლიან. ამ სახლის ნაკლია ისიც, რომ იგი ჩაჭრილია ქუჩებს შორის და ეზოსათვის ადგილიც კი არ აჩება.

ზევით ხსენებული „ფრანგული“ აივნების გამოყენებაც საემარისია იმ აზრის საილუსტრაციოდ, თუ რა ზედმეტი მნიშვნელობა ენიჭება ფასადს. მაშინ, როცა ფართო აივნები ბინისათვის

აუცილებელ კომპონენტს შეადგენერ, ეს მცირედ გამოწეული აივნები თითქმის არავითარ როდს არ თამაშობს, სამაგიროდ ფასადზე პასუხობს საერთო და დანაწევრებას და ქმნის გარემონდებულის ტულ აბზაცებს.

შენობის საერთო კომპოზიციაში წამყვანია დიდი თაღი, რომელიც ქუჩაზე გადატებულია.

შენობის მთელ ფრონტზე სიმაღლეთა მიხედვით შექმნილია პორიზონტალური რიტმი (პირველი სართულის ფართო სარტყელები, მეომე სარტყელი, აივანთა რიგი და დაბალი, თაღოვანი ხვრელები მესამე სართულისა, დამაგვირგვინებელი კარნიზი და სხვ.), რომელსაც აწონასწორებს ვიწრო სკეტჩით გაერთიანებულ დაკიდულ აკვარია მეტრი, —ცენტრში ვერტიკალური ერთიანი აქცენტითა ხაზგასმული. ეს ზედმეტ მნიშვნელობას არ იჩემებს და ფასადის საერთო კომპოზიცია მშვიდია. ცენტრალური თაღი, მასში გასული ქუჩითა და ხედით (რომელშიც შესანიშნავალა ჩამოჭდარი ვანქის ტაძრის სამრეკლო) ცხოველხატულ სურათს ქმნის ქუჩის ამ მონაცევთზე. ამგვარად, ეს დიდი თაღი ფუნქციურადაც სრულიად გამართებულია და მხატვრულადაც მახვილს სვამს.

შენობის დეკორი, ძირითადად ძველი ქართული არქიტექტურის მოტივებს უკავშირდება და საგამო ტაქტითა ნახმარი.

ქართული საცხოვრებელი სახლის ტრადიციებზეა შექმნილი არჩილ ქურდიანის მიერ დაპრო-

ექტიბული ორსართულიანი საცხოვრებელი საბჭო კრწანისში, რომელიც 1940-41 წლებში აშენდა. აյ ავტორმა მოხერხებულად გამოიყენა მე-19 საუკუნის თბილისური საცხოვრებელი სახლის კომპოზიცია. შიდა დაგეგმვარებასთან ერთად, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფართო აივნებს, რომელიც სახლს ოთხივე მხარეს აკრავს. ამიტომ, აქ დღის ყოველ მონაცემში შეიძლება მოძებნა ღია ბაერზე ჩრდილიანი ადგილისა მუშაობისა თუ დასვენებისათვის. ამას ემატება შესანიშნავი ხელი ქალაქის სხვადასხვა მხარეს, რაც კიდევ უცრო მოხიბებულს ხდის აივნებს. ნის აივნის ცვალებადობა ქვის აივნებთან (ზუსტადა მოძებნილი მასშტაბი: ქვის აივნების შედარებით მსუბუქი სვეტები, ვიწრო, მაეროვანი რიკულები და სხვ.), კარგადა ერთმანეთთან შედარებული.

ინტერიერში შექმნილია ინტიმური განწყობა. ინტერიერის აქტმისას პირებელ ხაცებულს შიდა შის კიბეები ქმნიან. ეს მხატვრული ხერხი მეტად ეცემ-ტურია.

ფასადები მოპირეობულია ბოლნისის ტუფით, რაც შეიძლება, ერთგვარ თვიციალურობას, ზედმეტად სახეობის სახეს აძლევდეს სახლს, რომელიც თავისი აბსოლუტური ზომებითა და მოცულობით ნაკლებ პრეტენზიულია. მაგრამ მწვანეში ჩაფლული ნაგებობა, მზეზე აუღერებული ოქროსფერი ბოლნისის ტუფი, მუხის აივ-


ნების აუზრული ხეზეკვეთილობა, დაცუმული ჩრდილები ცხოველხატულ სურათს ქმნიან.

როცა არჩილ ქურდიანის მიერ დაპროექტებულ საცხოვრებელ სახლებზე ვლაპარაგობთ, უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი, მოცულობის შეცრდებობა რომელიც ქრონოლოგიურადაც უურო გვიანდელია. იგი საინტერესოა როგორც კონსტრუქციული, ისე მხატვრული გადაწყვეტით.

დიმის მეცნიერების მუზეუმების მუშავთავის საცხოვრებელ სახლების მშენებლობაზე დაინტერგა და ფართოდ იქნა გამოყენებული სახლმშიც პრემიის ლაურეატის ინჟ. ი. ლომობერძის გარსული გადახურვები — ე. წ. „დაჩაზია“.

ეს გადახურვა, რომელსაც ეკონომიკურის თვალსაზრისით, თხელყედლიან სივრცებრივ კონსტრუქციათა ყველა ღირსება გააჩინა, თავდაპირებულად ერთსართულიან სახლებისთვის იყო გამოყენებული. შემდეგ არქ. არჩილ ქურდიანს დაევალა ამ ნაგებობათა რეკონსტრუქცია ორსართულიან სახლებსაც.

არქიტექტორმა გამოსავალ წერტილად გარსული ტიპის კონსტრუქციები აიღო და ფასადთა არქიტექტურა მათ მრუდ ხაცებს დაუმორჩილა. ორი ბინა ერთმანეთს მიედგა, ნაპირებში ღია კიბეები მიშენდა. ფასადი დამუშავებულია პილიასტრებით, რომელიც დაწოლილ თაღებს იკავებდნ. ეს მრუდხაზოვანი მხატვლობა კონსტრუქციისა—გადახურვას პასუხობს. არქიტექტორმა ყო-



ახალგაზრდობის სასახლე თბილისში (არქ. გ. კალაშნიკოვთან ერთად)  
გეგმა. 1937.

ველვარი შელამაზების გარეშე აქ სულთა არქი-  
ტექტურულ-კონსტრუქციული ფორმა გამოავლინა.  
ორიგინალური ნახატით შესრულებული კაპიტე-

ლებიანი პილიასტრები, აიგანთა ჰირიზონტალურ  
ზოლთან ერთად, მიმჯოდველობას მატებენ შენო-  
ბის არქიტექტურას.

დილმის მეურნეობაში ასეთი სახლების მშენებლობა 1949-55 წლების განმავლობაში წარმოედა.

განხილული მაგალითები მეტყველებენ, რომ არჩილ ქურდიანის შემოქმედებით პრაქტიკაში საცხოვრებელი სახლის არქიტექტურას გარკვეული ადგილი უკავია. მართალია მათ ისე ვერ გამოავლინეს ხუროთმოძღვრის შემოქმედებითი კრედო, როგორც საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტებმა, მაგრამ ის საერთო ხაზი, რომელიც დამახასიათებულია არქიტექტურისათვის. ამ ნაწარმოებებშიც იგრძნობა.

არჩილ ქურდიანის შემოქმედებამ ამ პერიოდში უკვე ჩამოყალიბებული სახე მიიღო. მიუხედავად ამა თუ იმ ობიექტის დანიშნულებისა, თუ არქიტექტურული ლირსებისა, უკვლებან იგრძნობა, რომ ხუროთმოძღვრისათვის მთავარია ტექტონიკური ლოგიკა, მაგრამ, ამავე დროს, იგი უასე არ ამბობს სალ მორთულობაზე, რომელიც შენობას ლაშათს მატებს. არქიტექტორი ეროვნული ხუროთმოძღვრების ძიების გზაზეა და მიაჩნია, რომ თანამედროვეობა არქიტექტურაში, სიახლენი კონსტრუქციებსა და საშენ მასალებში სრულია-დაც არ გამორიცხავენ ეროვნულ ფორმს. „დინამოს“ სტადიონსა და სასოფლო-სამეურნეო გამოცენის პავილინში ყველაზე სრულად გამოჩნდა არქიტექტორის შემოქმედებითი ძიების შედეგი.

დიდი სამამულო ობის დაწყების შემდეგ, არქიტექტორი ქალაქ თბილისის საქალაქო სამუშაოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილელ არქიტექტორი (1942) და კომუნალურ განყოფილებასაც ხელმძღვანელობს. ამავე დროს, იგი კვლავ სათავეში უდგას ქალაქის არქიტექტურულ დაგეგმარებას, როგორც ქალაქის მთავარი არქიტექტორი.


1944 წელს მას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოთან არსებულ არქიტექტურის საქმეთა სამართველოს უფროსად ნიშნავენ და ათავისულებენ მთავარი არქიტექტორის მოვალეობისაგან.

დიდ სამამულო ობის გამარჩევის შემდეგ, ისევე როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, საქართველოშიც განსაკუთრებით ფართოდ გაიშეალა მშენებლობა. არქიტექტორები მუშაობენ ახალ პროექტებზე. რესპუბლიკა ხარაჩოებშია.

არქიტექტურულ ცხოვრებაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოვლენად საქართველოს სსრ მთავრობის სახლის მშენებლობის გაგრძელება იყო.

როგორც ცნობილია, მთავრობის სახლის ჰედაკორპუსის აშენების შემდეგ, წინა კორპუსის მშენებლობა შეჩერებული იყო. 1945 წელს არჩილ ქურდიანის ავალებენ წარმოადგინოს მთავრობის სახლის მთავარი (წინა) კორპუსის პროექტი.

ამ პროექტით მთავარი კორპუსი ძევლის წინ უნდა დადგმულიყო. შენობა მინისტრთა საბჭოსა და უმაღლეს საბჭოს სადგომებს ეკავათ, რომელ-



ახალგაზრდობის სასახლე თბილისში. ჭრილი.

ნიც თრ ფრთაში იყვნენ მოთავსებულნი. შენობის ეს ორი ნაწილი, ერთიანდებოდა გეგმის ცენტრში მოქცეულ სხდომათა დარბაზის ბლოკით.

შენობის გეგმა მქაფიოა. სამუშაო ოთახები მოხერხებულადა განლაგებული და ნათელია. ინტერიერის დამუშავების მხრივ გამოიჩინეა სამსინათლიანი დარბაზი, გუმბათოვანი გადახურვით.

დარბაზის გუმბათი შენობის საერთო მოცულობაში მთავარ აქცენტს წარმოადგენს. მთავარ ფასადზე ორი წინ წარმოწეული რიზალიტი მცირე კურდონების ქმნის. ფასადის კომპოზიციის მთავარი თემა მაღალი თაღედია.

არჩილ ქურდიანი აქაც ეროვნულ ტრადიციებზე დაყრდნობით ცდილობს გახსნას მთავრობის სახლის მაღალი შინაარსი, მაგრამ ამ მხრივ აროვეტი ბოლომდე დამუშავებული ვერ არის.

ფასადის არქიტექტურა ჰედტეტად დეკორატიულია. ქვევით დავიწროვებულ სკეტები (მსგავსად ავტორის მიერ სასოფლო-სამეურნეო გამოფენის პავილიონში) გამოყენებული სკეტებისა. საერთოდ, პროექტში იგდნენბა პავილიონის ფასადის კომპოზიციის ერთვარი გამოძახილი), რიზალიტების ლოჭიის კედლები, რომლებიც კერამიკული ორნამენტული ხალიჩითაა დაფარული, ნაკლებად შეესაბამება მთავრობის სახლის თემას. მასიური გუმბათის დამუშავებაც ვერ ეგუება ასეთ „მსუბუქ“ კოლონადას.

პროექტი შემდგომ დამუშავებას მოითხოვდა.

ამ დროს შესრულებულ პროექტთა შორის უნდა აღინიშნოს პროექტი თბილისის რუსთაველის მოედნის არეანსტრუქციისა. (1945 არქ. ქ. სოფოლივასთან ერთად) პროექტი სამ ვარიანტად იყო

წარმოდგენილი, რომლებიც მოედნის ახლობერად გადაწყვეტის სხვადასხვა იღეას იძლეოდა.

1947 წელს არჩილ ქურთიანი აპრილებრებს ახალ ზიდს დიდუბეში (არქ. ლ. ჯანელიძის მონაწილეობით; ინგ. ვ. დიდიძე), რომლის მშენებლობა დაწყუთ 1951 და დამთავრდა 1953 წელს.

დიდუბის ხიდი ქალაქის ამ რაიონისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭება. იგი მოკლე გზით აერთობს ქალაქში მცხეთიდან შემოსასვლელს მტკვრის მარცხნიან ნაპირას გაშენებულ დიდ სამრეწველო და საცხოვრებელ რაიონთან. გარდა ამისა, იგი ქალაქთან აკავშირებს ახალ მნიშვნელოვან მასივს, სადაც საცხოვრებელი კვარტალების ინტენსიური მშენებლობაა. ამ ადგილას რომ მოსახლეობისათვის ხიდი აუცილებელი იყო, ამაზე ისიც მეტყველებს, რომ მანამდის აქ მუშაობდა ბორანი, რომელიც, ბუნებრივია, ვერ აკმაყოფილებდა მოთხოვნილებებს.

ხიდის სავალი ნაწილის გაბარიტები სრულიად აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნილებებს. იგი 27 მეტრის სიგანისაა და თავისიფულად ატარებს ორგორუ ტრანსპორტს, ისე ქვეითად მოსიარულე მგზავრებს.

ხიდი ორმალიანია. მისი კომპოზიცია ასიმეტრიულადა გადაწყვეტილი: ერთი მალი, რომელიც 72 მეტრს ითვლის, მდინარეზეა გადაგდებული, ხოლო მეორე—მცირე, თავს ევლება სანაპირო ქუჩას (მალის სიგრძე 19,2 მეტრს უდრის).

კომპოზიციის ასიმეტრიულობა ხაზებაშულია როგორც თვით მალთა მოხატულობით, ფინქტური შეერთებაზე დასმული მახვილით — დეკორატული ფრესკისაგან არის შესრულებული, მაშინ როგორც ხევაგან იგი ქვისა.

დიდუბის მხრიდან ხიდი კვარტლებებზე შემდგარ გამრალებული გრანიტის ემბლემით იწყება. მის დამთავრებას კი ადამიანის თავიდანერ აგრძნობინებს სკეტები, რომლებიც მდინარის მეორე ნაპირთანაა. მათ შემდეგ ხიდი კვლავ გრძელდება და შეუძრინევლად გადაღის ქუჩის სავალ ნაწილში. დასაწყისში, ქვის პარაპეტის შემდეგ, თუჭის მოაკირი მხოლოდ მდინარის თავზეა აუზრული, შედგენილი მარტივი ორნამენტით. გამვლელს აქ თანახლავს მტკვრის წყლის სარკე. შემდეგ ისევ ქვის დახურული პარაპეტია, რომელიც ხიდს ბოლომდე მისდევს.

ხიდი მთლიანად ბოლონისის ოქროსცერი ტუფითაა მოპირეობებული. კამარის მოსაპირეობლად სანამინის გრანიტია ნახმარი.

საფასადო მხრიდან ხიდის აღჭმისას მთავარია მისი ასიმეტრიული კომპოზიცია — სკეტებითა თუ თალთა სხვადასხვავარობით ხაზებაშული. კრონშტადტის შედგმული თუჭის მოაკირი თავისი ფერითა და ფაქტურითაც გამოყოფს მდინარის მალს. აქ გარკვეულ როლს თამაშობს ტრატუარის გადმოწევითა და მალის შეტეხით შექმნა.



ნილი შეუ-ჩრდილიც. ტრატუარის ხაზი თუ მდინარის მაღლე კრონშტადინითაა გამოყოლილი, ზემდეგ ქვის მცირე კვადრატული ჩანალგარებითაა გაგრძელებული. იმისათვის, რომ ასმეტრიისას მხატვრული წონასწორობა იყოს დაცული, სვეტების საწინააღმდეგო მხარეს თუჭის პარაპეტის აუზრული ამაცია შექმნილი.

კარგად არის ნაპოვის ხილის ვერტიკალური თუ პორიზონტალური პროპორციები. დეკორატიული ელემენტების ზომები პარმონიულადაა შეფურდებული ხილის საერთო მასშტაბთან, რომელიც თანამედროვე ქალაქის ერთიან მასშტაბს ეთანაბრება.

დეტალების მხატვრულ დამუშავებაში დახვეწილი გემოვნება ჩანს. თუჭის სხმული პარაპეტის ნახატი ისეა შედგენილი, რომ მარტივად აიწყოს და თან მხატვრული მომხიბველობაც არ აკლდეს. იგი მცენარეული რომელიც ცალ-ცალკე დერობებს ქმნის, დეტალებში განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ემბლემა—ნამგალი და ჩაქუჩის ტრადიციული ნახატი. იგი დამჭიდარი პროპორციებისა, გამოვლენილია ქვის ფაქტურა. მოპრიალებული გრანიტის ემბლემები საზეიმო იერს აძლევენ ხილის არქიტექტურას.

ხილის საერთო არქიტექტურულ-მხატვრულ ხახვი დადი მინიშვნელობა ენიჭება ცერს. ოქროსფერი ბოლნისის ტუფის მეტად სასიამოვნო

ტონი რუბ გრანიტთან და თუჭის მუქ პარაპეტთან პარმონიულადაა შერჩეული: ხილის უძრავიდან უსალისამორიტი ახლებურ იერს ანიჭებს ქალაქის ახლო-მდებარე მონაცემს.

დიდუბის ხილის არქიტექტურა ირგანულად ჩაიწერა ქალაქის საერთო ხატში. მისი კედლის თავისუფალი სიბრტყე (რომლებშედაც რომელიც არც კი იყო საჭირო), ნატოფი პროპორციები, მარტივული უღერძალობა — ებმაურება ქალაქის სხვა ნაგებობებს, იგი იმისშემდგომი ქართული საბჭოთა არქიტექტურის ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოებია. თვით არჩილ ქურდიანის ცხოვრებაში კი იგი მინიშვნელოვანია იმითაც, რომ ამ პროექტში მუშაობის დროს მას გვერდში ამოუღდა მისი ვა-ში—გია, რომელიც მაშინ თბილისის სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაულატების სტუდენტი იყო (არჩილ ქურდიანის არქიტექტორი გაკლდავაც ეხმარებოდა). უმცროს ქურდიანის ეკუთვნის ემბლემის ნახატის შედგენა-დამუშავება. ეს მცირე წვლილი ვაჟისა, მაიც მის პირველი განხორციელებულ ნამუშევარი იყო.

დიდუბის ხილის არქიტექტურაში კვლავ გამოჩენდა არქიტექტორის მისწრაფება ადგილობრივ ტრადიციებისამდი. კომპოზიციის მთლიანობა, ფორმათა მონუმენტურობა, კედლის სიბრტყის გამოვლენა, დეკორის ლოგიური ხმარება ხეორედ ამაზე მეტყველებს. (აქ შეიძლება ავტორს შევედავოთ, ვთქვათ, სვეტების მორთულობის



კონკრეტულ დამუშავების თვალსაზრისით, მაგრამ პრინციპულად ეს არაფერს ცვლის, აქცენტი აქ გამართლებულია).

ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თუ გავითვალისწინებთ ქართული საბჭოთა არქიტექტურის იმ პერიოდს, როცა აღნიშნული პბიექტი აუგნდა. მაშინ არქიტექტურული პროექტირება, უაქტიურად, ასცდა სწორ მიმართულებას. ზოგჯერ, ვითომდა ეროვნული არქიტექტურის შექმნის სურვილით, არქიტექტურულ პრაქტიკაში დამკვიდრდა ქართული ისტორიული ძეგლებიდან აღებულ ცალკეულ ელემენტთა თუ დეკორის ბრძანებულ განვითარება, როცა პირველ პლანზე, უსწერის გადაწყვეტისა და მოხერხებულობის, მშენებლობის ეკონომიკურობისა და ინდუსტრიალიზაციის ნაცვლად, ფასალთა „გაფორმება“ გამოვიდა. არქიტექტორები ყოველმხრივ ცდილობდნენ, რომ შენობისათვის მორთულობა არ მოეკლოთ ქართული იყო იგი, თუ არა. ცველაფერმა ამან გამოიწვია ცრუ პომპეულობა, რასაც ზედმეტობა ახლდა როგორც ეკონომიკური, ისე მხატვრული თვალსაზრისითაც. მართალია, ცველაფერი, რაც ამ პერიოდში გაცემდა არ შეიძლება ამ მოვლენას მივაკუთვნოთ, მაგრამ ამ პერიოდისათვის ერთ-ერთ დამახასიათებელ მხარეს სწორედ ეს შეადგენდა.

არჩილ ქურდიანიაც ვერ აიცდინა მავნე გავლენები. და ეს ცველაზე მეტად გორში აშენებულ

მუზეუმის შენობას შეეხება, რომელშიც ავტორული ვერ შეძლო ბოლომდე მიეცანა ის საწინამედრებელ კულტურული არქიტექტურული ჩანაფიქრი, რომელიც საფუძვლად უდევს შენობას. საზეიმო ბასიათის გამოვლენისათვის მან ზედმეტი დეკორატიული ელემენტებით შეავსო შენობა.

გორის მუზეუმის პროექტი არჩილ ქურდიანმა 1947 წელს შეადგინა. მშენებლობა 1948-55 წლებში მიმდინარეობდა.

ამ შენობას ავტორმა, როგორც ამას მოცემულობა თხოულობდა, საზეიმო სახე მისცა და ისე გადაწყვიტა, რომ ქალაქისათვის ზიგ ცენტრში არქიტექტურული აქცენტი დაესა. ამისათვის ორსართულიან ნაგებობას კუთხეში მაღალი კოშკი აქვს მიღმული, რომელიც ქალაქში შესვლისთანავე მრავალი წერტილიდან იპყრობს ყურადღებას.

ძირითადი ფასადის სიბრტყე სკევრისეცნაა მიყენებილი. იგი ორსართულიანია: მონუმენტურ თაღებს, რომელიც მთელ ფრინველზე გასდევს ფასადს, ეყრდნობა მეორე სართულის სიბრტყეს. ეს სართული მაღალია და მისი თვისუფალი კედლის სიბრტყე. აუზრული ორნამენტული ჩანაფიქრით დაფარული, მოგრძო სარკმელებითა ჩაჭრილი.

შენობას მძლავრი დეკორირებული კარნიზი აგირგვინებს, რომელსაც ცევით ფიგუროვანი პარაპეტი ადგას. აღმოსავლეთით მიღმული კოშკი შორიდანვე იპყრობს ყურადღებას, და როგორც

უკვე აღინიშნა, გორის განაშენიანებაში ძირითად ვერტიკალურ მახვილადაა ქცეული.

კოშქს მეორე მხრიდან მომერგალებული კორპუსი ერტყმის, რომელიც მთავარსა და ეჭოს ფასადებს შორის გარდამავალ ნაწილს წარმოადგენს. ამ კორპუსში წიგნთსაცავი, სამკითხველო და ბიბლიოთეკაა, რომელთაც ცალკე შესასვლელი აქვთ.

მთავარი შესასვლელი სკვერის მხრიდანაა. პირველ სართულზე მას აღმინისტრაციულ-სამეცნიერო სადგომებისაკენ მივყევართ, ცენტრალური, საჭიმო კიბეებით კი მეორე სართულზე — საექსპოზიციო დარბაზებისაკენ და აუდიტორიისაკენ.

კოშქური ნაწილი გამოყენებულია მხოლოდ როგორც გადმოსახედი ბაქანი (კიბის უქრედთან შიდგმული ოთახები — ნიბალადევია).

მთავარი ფასადის არქიტექტურას შეტყველი, საჭიმო სახე აქვთ. დიდი სიღრცობრივი გაღრიცისა და კედლის თავისუფალ სიბრტყის კონტრასტზე აგება, კარგად ნაპოვნი პროპორციული შეფარდება, კედლის ყრუ სიბრტყის გამოვლინება მონუმენტურობას მატებს ფასადს. ორნამენტული ჩანადგარებით დაფარული სარკმლები შესუბრობებს ქნინან. სარკმლთა აზიდული ფორმა ეკონტრასტება თაღების დაჭდარ პროპორციებს და საერთოდ, ფასადს წარმოსაღევობას ანიჭებს.


ფასადის ორნამენტული ფრიზი კარნივალ ერ-

თად დამამთავრებელ დეკორატიულ აბზაცს ქვნის. თუ მთავარი ფასადის საერთო კომპოზიცია მშვიდია, ამას ვერ ვიტუვით ქუჩის ფასადზე, უკავშირობისას სხვადასხვაგვარია როგორც თვით მოცულობები (ძირითადი ფასადის გვერდის მხარე, კოშქი, მომრგვალებული კორპუსი და ა. შ.), ისე ფასადთა დამუშავების ხასიათიც. თითქოს ამ მოცულობებს გამაერთიანებელი ელემენტი აკლიათ. უკველი არქიტექტურული ფორმა ფასადის ცალკეული მონაცემის მასშტაბით იფარებლება. ამ შემთხვევაში მარტო მასალა ერთიანობის ამოცანას ვერ ძლიერს.

კოშქი „გამოთიშულია“ არქიტექტურული კომპოზიციიდან. მისი დამუშავება (განსაკუთრებით ჰედა ნაწილისა) გადატვირთულია არქიტექტურული დეკორით. თან, გამოწევით მდგრმი კოშქი ჰედმეტ ყურადღებასაც იპყრობს. (მაგანირითადი ფასადისებრ მიწყობილი შესასვლელი პირველობას ეცილება ფუნქციურად მთავარ შესასვლელს და ა. შ.).

ავტორმა ვერ შეძლო უველგან დაეცვა ზომიერება ისე, როგორც ეს ამ შენობის მთავარ ფასადზეა.

მთავარი ფასადის არქიტექტურის საჭიმო ხასიათი — ქუჩის ფასადზე და ინტერიერში (მაგ. ვესტიბულის დამუშავება) — მათი დეკორატიული ელემენტებთ გადატვირთვის გამო, ვერ არის მოელ ნაგებობაში ბოლომზე მიტანილი. დეკორის



სასტუმრო გორში (ქ. სოკოლოვასთან ერთად) I სართულას გეგმა

1947.

ჭარბი, გაუმართლებელი სმარება საწინააღმდეგო იუსტიციის აღწევს.

როგორც თავშივე აღინიშნა, ამ ნაგებობის ნაკლოვანებანი დროით იყო შეპირობებული და იმ

პერიოდისათვის დამახასიათებელ ნიშნებს ატარებდა. ამის გამომწვევი მიზეზი ისიც იყო, რომ მუზეუმი გორის უკელაზე მნიშვნელოვანი ნაგებობა უნდა ყოფილიყო — ასეთი იყო დაკვეთა —



და არქიტექტორიც ვერ აცდა შენობის „მორთვის“ ცდუნებას.


1947 წელს არჩილ ქურდანი, ქეთევან სოფოლივასთან ერთად, აპრელების გორის სასტუმროს, რომლის მშენებლობა 1955 წელს დამთავრდა. როგორც დაპროექტების, ისე მშენებლობის დრო თანხმედება მუზეუმის აშენების თარიღს, მაგრამ მუზეუმისაგან განსხვავებით სასტუმროს შენობას დამუშავება მარტივია. იგი არქიტექტორმა მთავარი პრობლემების საერთო განაშენიანებას დაუმორჩილა. შენობა ზემოთ ყურადღებას არ იძირობს.

სასტუმრო აგებულია ქალაქის ცენტრში, მთავარ პრობლემებზე. ამ მხარეს იგი სამსახურულიანია, გვერდის ქუჩაზე კი ორი სართულის სიბალისა. შენობაში ოფიციალური ნომერია, რესტორნით, საბანკოთ — დარბაზითა და ცეკვით დამხმარე სადგომით.

პრობლემებზე შენობის ფრონტი შეტეხილია. ფასადის ცენტრალურ სიბრტყეს, (რომელსაც ქვედა სართულზე ვიტრაჟი აქვს, ხოლო ზემოთ — კარ-სარკმელები), ორივე მხარეს რიზალიტები ერტყმის. ამათვან ერთი (ჩრდილოეთისაკენ) ვიწრო, ხოლო მეორე მხარეს კუბურ მოცულობას ქმნის. უკანასკნელი შემკვერლია, აერთიანებს მთავარ და გვერდის ფასადებს. აქედანაა შენობაში მთავარი შესასვლელი და იგი ხაჯგასმულია ორსართულიანი ვიწრო ნიშით, რომელსაც ორნამენტული არ-შია აჩარჩინებს.

მიუხედავად იმისა, რომ ნაგებობაში მკაფიოდა ხაჯგასმული მისი საზოგადოებრივი დანიშნულების ხასიათი, იგი არ არის ამოვარდნილი ქალაქის განვითარების საერთო მასშტაბიდან. აქცენტები, თუ შეძლება ასე იოქვას, ადგილობრივი ხასიათისა და თვით შენობაში კი აქვთ უცნებია დაკისრებული. ასეთ აქცენტს, უპირველეს ყოვლისა, კუთხის კუბური მოცულობა შეადგენს, სადაც ვიწრო ნიშით დამატებითი მასვილია შექმნილი. აქედანაა შენობაში შესასვლელი. იმისათვის, რომ შენობა ხაცხლოებებით სახლისაგან განიჩეოდეს, მის მეორე სართულზე კარ-სარკმელებს ამაღლებული პროპორცია აქვს. ეს საკარისის აღმოჩნდა მიზნის მისაღწევად. ზედა სართულის აივნებით დამუშავება შენობის საცხოვრებელ (სასტუმროს) ხახიათზე მეტკველებს. საერთოდ, აივნები შენობას საცხოვრებელი სახლის სიმშევიდეს და ინტიმურობას ანიჭებს. მაგრამ ასეთი იგი მთავარ პრობლემებზე გამოდის, მას კვედა თაღების, პორტალისა და მის გარშემო დატოვებულ თავისუფალი კედლის ზედაპირის წყალობით (აგრეთვე დამაგვირგვინებული კარნივით), გარკვეული სოლიდურობაც აქვს მინიჭებული.

ორმოცდაათიანი წლების შუამიქნაზე საბჭოთა არქიტექტურაში მნიშვნელოვანი ძრები მოხდა. ჭერ საკავშირო თათბირმა მშენებლობისა და არქიტექტურის საკითხებზე. ხოლო შემდეგ პარტიისა და მთავრობის 1955 წლის დადგენილებამ ახა-



საბანკეტო დარბაზი კრწანისში. გეგმა

ლი, გადაუდებელი, ამოცანები დაუყენეს ხუროთ-მოძღვართა და მშენებელთა წინაშე. ყოველ პროექტსა და მშენებლობას რაციონალურობის, ეკონომიკურობის, სადა სილამაზის საჭყისები დაედო საფუძვლად. უწინდელი, ვითომდა „მდიდარი“ არქიტექტურა, სადაც არქიტექტურულ „მორთულობას“ მხოლოდ ზიან მოქმედობა როგორც ეკონომიკურობის, ისე მხატვრული ოვალსაზრისითაც, სასტიკად იქნა დაგმობილი. არქიტექტურა დამორჩილა სახელმწიფო ინიციატივის მნიშვნელობის ამოცანებს, ფართოდ დაინტერგა საცხოვრებელ კვარტლების გაშლილი მშენებლობა, ტიპობრივი აროექტების გამოყენება, მშენებლობის ინდუსტრიული მეთოდები.

ეს იყო საბოთა არქიტექტურის მძლავრი გარდატეხის წლები.

ხუროთმოძღვრები კრიტიკულად მოყიდვენ დევლ ნამუშევრებს. სხვებთან ერთად, არჩილ ქურდიანამაც გადახედა თავის შემოქმედებას. არავთარი მერყეობა. თანამედროვე არქიტექტურის შექმნის გზაზე მხოლოდ ეს ერთი მიმართულებაა სწორი, არქიტექტურული აზროვნების ლოგიკთ გამართლებული.

ცალია ერთი ხელის მოსმით ძნელი იყო თანამედროვე ამოცანების სიმაღლეში ასვლა. ეს პროცესი შინაგანი შემოქმედებითი დააბულობით მიმდინარეობდა. პირველსავე პროექტში, რომელიც ამ წლებში შეიქმნა, კარგად ჩანდა სწორედ

ეს სიძნელეები. თუ გადავხდეთ თბილისის სარკმლების ტელევიზიის ცენტრის პროექტის პირვანდელ ფინანსობრივ რიანტებს, განხორციელებულთან შედარებით, აშკარად დავინახვთ ამ პროცესს.

პირველი ვარიანტი, მიუხდავად იმისა, რომ იგი თავისუფალია ყოველგვარი არქიტექტურული ზედმეტობისაგან, მანც არ ვასუბობს ახალ ამოცანებს. გეგმა წინასწარ ალებულ სქემას ემორჩილება: წახნაგოვანი კოშეური ნაწილი, მძიმე გუმბათოვანი გადახურვით დაგვირგვინებული, არ ებმის ქვედა ნაწილს. შენობა მძიმეა, არ არის გამოყენებული თანამედროვე მასალები, რაც შესაძლებლობას მისცემდა ავტორს უფრო მიზანშეწონილი ფორმები გამოიძებნა ისეთი თანამედროვე დანიშნულების მქონე შენობისათვის, როგორიც რადიოსა და ტელეცენტრის შენობაა აქ, როგორც ჩანს, ავტორს გარემომცველი არქიტექტურაც ბოკავდა.

პროექტი თანადათან ისვეწებოდა და ბოლო ვარიანტში, სადაც მან ამ უბანში მდგარე სხვა შენობებს კონტრასტულად დაუპირისპირა მინის დიდი სიბრტყეებით გახსნილი კედლები, ავტორმა შეძლო მიეღწია იმ ოპტიკური სიმსუბუქისათვის, რომელიც ასე დამზადებულია თანამედროვე არქიტექტურისათვის.

შენობის ფასადზე მინის დიდ ზედაპირს მთელ სიმაღლეზე კედლის თავისუფალი სიბრტყე უპირისპირდება. ამ კედლებზე რელიეფური ნახატებია.

ეს დეკორატიული ლაქა აცოცხლებს უასაღს, ანიჭებს მას საქონცერტო თუ სხვა ამგვარ დანიშნულების ნაგებობის გამომზტყველებას და, ამდენად, მთავარ ამოცანასაც შეესატყვისება.


ახალი ამოცანების ამოხსნის თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა არჩილ ქურდიანის ბოლო ნამუშევარი — თბილისის „დინამის“ სტადიონის რეკონსტრუქცია (არქიტექტორ გია ქურდიანთან და კონსტრუქტორ შალვა გავაზაშვილთან ერთად, 1958—1960 წ.წ.).

სტადიონის რეკონსტრუქცია ახლოს მდებარე ტერიტორიის ახლებურ განაშენიანება-კეთილმოწყობასაც გულისხმობს. სტადიონის გარშემო ინსენება ღობე. იზრდება სტადიონის გარშემო საევაკუაციო ფართობი. რეკონსტრუირებულ იქნება პლეხანოვისა და წერეტლის პროსპექტებს შორის მდებარე მონაცემი.

არსებულ სტადიონს ირგვლივ, 12-12 მეტრის დაშორებით, რეინა-ბერტონის პილონები ედგმება, რომელთაც ახალი იარუსი ადგას. იგი ძველს აგრძელებს და ტრიბუნებს 30 რიგი ემატება. მაყურებელთა რიცხვი 60.000-მდე იზრდება.

ძველ კორპუსთან ახალს გადასასვლელები აერთობს.

ტრიბუნებზე ასვლა პანდუსებით ხორციელდება. გარშემოსასვლელი მთელ პრიმერტრიზეა ღია. პანდუსები ფოლადის ვერტიკალურ ღრესებ-



თბილისის „დინამის“ სტადიონის რეკონსტრუქცია.  
ტრიბუნი ტრიბუნებზე. 1958-60.

ზეა შეკიდული. ეს ღერძები, იმავე დროს, პარა-პეტსაც წარმოადგენენ.

პილონები პორტუნტალურად შეკრულია გარშემოსასვლელით — პრომენადით, თვით ტრიბუნებით (ასაწყობი რეინა-ბერტონის ფილები, რომლებიც სწორი კუთხით კვეთენ ერთმანეთს), პარაპეტთ, რომელიც ამჟითადრს ამთავრებს და გადახრების კონსოლებით მათ შორის ჩადგმულია გარსული კონსტრუქციის სახურავი.

კულტურულ ელემენტი ნაგებობაში მხატვრულადაა გააჩინებული. მოძებნილია ერთიანი არქიტექტურულ-კუნსტრუქციული ფორმა—სალი, მეტყველება და ეფექტური. ყოველი დეტალი გამიღწეულია მხატვრული ზემოქმედებისთვისაც. ასე მაგ: ტრიბუნების სკამები, რომლებიც ხერხსებური ფილებისაგან შედგება, ქვევიდან ღია და და ჩრდილ-სინათლის სასიამოვნო ეფექტს ქმნის.

„დინამის“ სტადიონის რეკონსტრუქციის არჩევტი არა მარტო არჩილ ქურლიანის, არამედ უკანასკნელ ღრიას ქართული არქიტექტურის ერთ-ერთი საინტერესო ნაწარმოებია.

\* \* \*

როცა ხუროთმოძღვარ არჩილ ქურლიანის შემოქმედებაზე კლაპარაკობთ, არ შეიძლება არ აღინიშნოს მისი საზოგადოებრივი მოღვაწეობა. გზა-დაგზა, ჩვენ მოვიხსენით ის თვითიალური თუ საზოგადოებრივი დაწესებულებები, სადაც არჩილ ქურლიანს უხდებოდა მუშაობა.

ქალაქის მთავარი არქიტექტორი, ქალაქის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მთადგილე, არქიტექტურის კომიტეტის უფროსი, არქიტექტორთა კავშირის თავმჯდომარე, უცხოეთთან კულტურული ურთიერთობისა და მეცნიერობის საქართველოს საზოგადოების არქიტექტურის სექციის პრე-

ზიდენტი, საქავშირო არქიტექტორთა კავშირის გამეობის წევრი, თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესიონალი — ეს მშრალი ჩამოთვალი არის ვისთავად ბევრის მეტყველია. არქიტექტორი ქურლიანი, თოთქმის ყოველთვის, რესუბლიის არქიტექტურული ცხოვრიბის ცენტრში იყო. აღნიშნულ თანამდებობებზე მუშაობა მოითხოვდა დიდ ღრიასა და ენერგიას.

არჩილ ქურლიანი არა ერთხელ იყო არჩეული ქალაქის საბჭოს, საქართველოს უმაღლეს საბჭოს დეპუტატად.

არჩილ ქურლიანი 1948 წელს არჩეულ იქნა საქავშირო არქიტექტურისა და მშენებლობის აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1950 წელს — ნამდვილ წევრად. არქიტექტორი-აკადემიკოსი სისტემატურად მონაწილეობს აკადემიის მუშაობაში, გამოიდის სეისმიკური, ამონტებს სხვადასხვა ინსტიტუტებს, კერთებს მოხსენებებს. მის სა-არქივო მასალებში ათობით გამოხვდებს, წერილებს, სიტუაციას, რეცენზიას, მოხსენებებს ნახავთ. მათში არყოლია ხუროთმოძღვრის შემოქმედებითი პრინციპები, რომლებიც საფუძვლად უდევს მის არქიტექტურულ მოღვაწეობას.

ეს, უძირველეს ყოვლისა, ეროვნული არქიტექტურის საკითხებისაღმი უდიდესი ინტერესია. ყოველთვის, თოთქმის უცელა გამოსვლაში, იგი ეხება ამ საკითხს. თუ რა დიდი აღვილი უკავია ეროვნულ ხუროთმოძღვრების შექმნის პრობლე-

მის მის პრაქტიკულ მოღვაწეობაში, ჩვენ ცალკეულ იძიებებთა განხილვისას დავინახავთ. მისი პრაქტიკული ნამოღვაწარი ამ მხრივ განმტკიცებულია მისივე თეორიული მოსაზრებებით.

არქიტექტორის მიაჩნია, რომ ახლაც, როცა ასე მოედო მთელ სამყაროს ინტერნაციონალური არქიტექტურის შექმნის ტენდენცია, არ შეიძლება თანამედროვე არქიტექტურაში არ აისახოს ეროვნული ხასიათი. „ეროვნული ხასიათი ხელოვნებაში, და კერძოდ, არქიტექტურაში—ეს უპირველეს ყოვლისა ხალხისა და მისი კულტურის შემოქმედებითი ძალის გამოხატულებაა. რა თქმა უნდა, არ შეიძლება თვითმყოფადი არეულ იქნას ეროვნულთან. ეროვნული თავისთვალი, ძველისაგან იზოლირებულად არ იძალება. პირიქით, ჭრამარიტად ეროვნულში თავს იქრებს ძველის უკეთესებისა და მდგრადი, ორიგინალური და თანამედროვეობით გამართლებული. ამრიგად პროგრესული არ ეწინააღმდეგება ეროვნულს“ (Творческая направленность советской архитектуры на современном этапе 1961. გვ. 55).

თუ გადახედავთ არჩილ ქურდიანის შემოქმედებას დაინახავთ, რომ თითქმის უკელვან, უკელა შემთხვევაში იგი ცდილობს არქიტექტურული ნაგებობა ეროვნული არქიტექტურის პრინციპებს დაუმორჩილოს, თუმც ყოველთვის როდის ეს საკითხი გადაწყვეტილი ისე, როგორც, ვთქვათ, „დინამოს“ სტადიონისა თუ საქართველოს პავი-

ლიონის არქიტექტურაში. მის შემოქმედებაში ხშირად ეროვნული არქიტექტურის შექმნის ცდა მეტად ცალმხრივ ხილცილდებოდა და მხრილდებოდა მორთულობაში იყო გამოხატული, (რაც სამარტინოს ვად შემობას არაფრეს ეროვნულს არ მატებდა), მაგრამ ეროვნული არქიტექტურის შექმნის ტენდენცია წითელ ზოლივით გასდევს არქიტექტორის მთელ შემოქმედებას და ეს ნათლად ჩანს მის ნაწარმოებებში, უკანასკნელი დროის პროექტებშიც კი. მაგ. ტელეცენტრის შენობაში ავტორი პოულობს ადგილს კედლის თავისუფალი სიბრტყის შექმნისათვის, რომელზედაც რელიეფები თანამედროვე ნაგებობას ქართულ ტრადიციებს უკავშირებს.

ეს, რა თქმა უნდა, საყითხის სრულ გადაწყვეტად არ ჩაითვლება, მაგრამ არქიტექტორის მისწრაფება თანამედროვე არქიტექტურაში ეროვნული არქიტექტურის პრინციპების ასახვისადმი—სწორია.

არქიტექტორ არჩილ ქურდიანის მოღვაწეობა დიდადა დაფასებული ხალხის მიერ. იგი დაწილდობულია ორდენებითა და მედლებით, მას მინიჭებული აქვს ხელოვნების დამსახურებული მოვაწის საპატიო წოდება.

არქიტექტურის აკადემიის ნამდვილი წევრი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე. პროფესორი არჩილ



ქურდიანი დღესაც შეტწილებელი ენერგიით გა-  
ნაგრძოს მუშაობას.

არქიტექტურა, თავისი ბუნებით, ერთ-ერთი  
ყველაზე მშვიდობიანი პროცესია. ხუროთმოძღ-  
ვრება, შენება — შექმნის ხელოვნებაა და ამ ხე-  
ლოვნების სამსახური ხალხის კეთილდღეობისათ-  
ვის, მშვიდობისათვის თვალიდებულ შრომას გუ-  
ლისხმობს. ეს კარგად გამოხატა არქიტექტორთა  
V საერთაშორისო კონგრესისადმი მიმართულ მი-  
სალმებაში ქართველმა ხუროთმოძღვარმა

„კაცობრიობის ისტორიის ყოველ დროში, ყო-  
ველგვარ სოციალურ პირობებში, არქიტექტურა  
ყოველთვის შემოქმედების საქმეს ემსახურებოდა.

ამიტომ, არქიტექტურის გაფურჩქვნა უკვლე-  
ბალხის ისტორიაში, ყოველთვის ემთხვეოდა მშვი-  
დობიან ცხოვრების პირობებს.

ბუნებრივია, რომ ჩვენ, არქიტექტორები, ყო-  
ველთვის უნდა ვიბრძოდეთ მშვიდობისათვის,  
ორის წინააღმდეგ“.

ეს მაღალი მოქალაქეობრივი მოვალეობა ხუ-  
როთმოძღვრის პროფესიაში თითქოს თავისთვა-  
და ნაგულისხმები. შენების ხელოვნების შემა-  
თა მთელ არმიასთან ერთად ცნობილი ქართველი  
ხუროთმოძღვარიც იბრძვის იმ დიდ ამოცანათა  
გადასაწყვეტად, რომლებიც დასახულია საბჭოთა  
არქიტექტორების წინაშე.




გ ა ბ უ რ ე ც ბ ი




ঢাকা বিশ্ববিদ্যালয়  
কেন্দ্রীয় গ্রন্থালয়

“ডেভিডসন” স্ক্রানিওমির  
গুপ্ত ছন্দ। 1933—37.



TOFIQ BAHRAMOV  
STADIUM



„დინამიკ“ სტადიონი  
ტრიუმფალური თაღი.

ეროვნული  
ბიბლიოთეკი


„დინამიკ“ სტადიონი  
ტრიუმფალური თაღი.






ପାଦମ୍ବରଜୀନ୍ଦି  
ଶୋଭାମୂଳଗ୍ରହ

“დინამიკის”  
სტადიონი




“დინამიკის” სტადიონი  
ხედი ტრიბუნის მიგადავის.




“დინამიკის” სტადიონი  
აღმოსაფეროს ფასალი

କେନ୍ଦ୍ରୀୟ ବିଜୁଳିକା  
ସୂର୍ଯ୍ୟ ପାରିଷଦ



„დინამიკ“ სტადიონი  
ლოკებში შესახვლელი



„დინამიკ“ სტადიონი  
ლოკების ტერასა







გაგრა. სანატორიუმი  
„გრებეშოკი“. სახალილო  
1936 — 37.

ეროვნული  
მუზეუმი




გაგრა. სანატორიუმი  
„გრებეშოკი“. სახალილო





անցը շնորհում է Տաճարը-  
միութիւն (Տիգ. Յ. յալաթ-  
նոյուցտան ցհուալ). 1937.




ମାସିଲୋକମିଳ ପର୍ଯ୍ୟାନ ଶାଖ。  
ଜାନ୍ମମେଳି, ମାର୍ଚ୍‌ଚନ୍ଦ୍ର, 1935—36.




ГРУЗИНСКАЯ  
ССР  
Тбилиси

03036550  
00320000335




საქართველოს სსრ პაკილიონი  
ხახ.-ხაშ. გამოცემაზე მოხვდები.  
(არქ. გ. ლევაგას მონაწილეობით)  
1939.

საქართველო  
გამოცემა



შიდა ეჭის კუთხე





მართლიანობის  
საქართველოს

მთავრობის მინისტრის




საქართველოს სსრ პავილიონის  
შიდა ეზო.



საქართველოს სსრ პავილიონის  
გამიტელება.

ବିନ୍ଦୁରାଜେଶ୍ୱର  
ପାତ୍ରମହାରାଜ




ଶାକ୍ତାରୂପ୍ୟାଲୋ ସବ୍ରାନ ପାତ୍ରମହାରାଜ.  
ଗପ୍ରର୍ଦ୍ଧରେ ଫ୍ରାଙ୍କିଲନ.

ଶାକ୍ତାରୂପ୍ୟାଲୋ ସବ୍ରାନ ପାତ୍ରମହାରାଜ  
ପ୍ରକାଶିତ ଉଦ୍‌ଘାଟନାରେ  
(ଏକ୍ସ୍‌ପ୍ରେସ୍‌ରେଟ୍‌ରେଲ୍‌ଟାର୍ମିନ୍‌ସାର୍କ୍‌ରେ  
ଓ ଡାକମଧ୍ୟାନ୍‌ତାରେ ପ୍ରକାଶିତ ହେଲାମାତ୍ର) 1940.






საცხოვრებელი სახლი  
კრწანისში. 1940.




საცხოვრებელი სახლი  
ქრწანისში. ფრაგმენტი.




მთაცემბის სახლი თბილისში.  
ოქტო. 1945.





საცხოვრებელი სახლი თბილისში  
(არქ. ქ. სოფოროვანთან ერთად).  
პროექტი. 1951.




ପାତ୍ରବିହା ପାତ୍ରବିହା  
ମୁଦ୍ରଣ 1947.

ପାତ୍ରବିହା ପାତ୍ରବିହା  
ମୁଦ୍ରଣ 1947—୩୩







მეცნიერება გორში  
მთავარი უნივერსიტეტი



მეცნიერება გორში  
რალევის ქამიტალები




საქართველოს მთავ  
რობის მინისტრი. გენერალ-დი  
ლეიტონ და გ. კუპრაშ  
ვა მედიუმის მეცნიერებე  
ლი 1930 წლის ივნისი





Սատլյան շենք. (արք. գ. եռ-  
կողոցանուն ըրտալ) 1940—55.








საცხოვრებელი სახლი დილმში.  
პროექტი. 1949.



Դռնեց տնօղովնեմ.  
1951.





Հայոց Տէղ.  
Վեցին. 1931 — 53.




МОНГОЛІЯ  
МОНГОЛІЙСЬКІ

დადუბის ხიდი.  
მოკერი.



დადუბის ხიდი.  
ემბლემა.


I အနေဖြင့်




II အနေဖြင့်





III အနေဖြင့်






കേരള പ്രസ്ത്ര നിർമ്മാണ ബോർഡ്, കൂപ്പാട്ടപ്പറ്റണ  
വാർഷികത്തിൽ.





ନାନାନ୍ଦେଶ୍ୱର ଓ  
କାନ୍ତି.


ସାହୁରଙ୍ଗେଲୁଙ୍କ ଶ୍ରୀ ପାଦମାନନ୍ଦ  
ମନ୍ଦିରପାତ୍ରରେ ସାହୁନ୍ଦିଶ୍ୱରଙ୍କ ମନ୍ଦିରପାତ୍ରରେ  
ମନ୍ଦିରପାତ୍ରରେ ୧୯୫୯.



ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ



մայուսի շնորհու կը-  
զնուի հայոցիցից  
(մէ). Ե. յշխանով ու  
յուղա. Տ. յարդիկյան  
շնորհ կը սահա-




— ප්‍රජාතන්ත්‍රික රුහුණුවේ සැප්ත්‍රම්බද්ධීයා මූල්‍ය තුළු —



— ප්‍රජාතන්ත්‍රික රුහුණුවේ සැප්ත්‍රම්බද්ධීයා මූල්‍ය තුළු —





1993  
8025000000




„დანამოს“ სტადიონის  
რეკონსტრუქცია. ხედი  
ჰეკილან.




„დანამოს“ სტადიონის  
რეკონსტრუქცია. ჭრილი






“డింబాబోలు” కెర్కాడంణంటి  
స్టేప్‌ప్రోఫిల్ ట్రైప్‌ప్రోఫిల్. పిఎస్‌ఎస్‌టా  
ఎంసిస్ట్రీల్స్‌ప్రోఫిల్.

ట్రైప్‌ప్రోఫిల్ ట్రైప్‌ప్రోఫిల్  
మ్యాన్‌చెస్టర్ రోడ్. విశాఖపట్నం. 1963.





ଶାଶବାନ୍ଧିତ ଲାଗରିଂଚିଙ  
ପ୍ରତିବିନିଷେତିରେ, ମରିନାଫେଟର୍  
1961.



რედაქტორი  
ვახტანგ ბერიძე



Джанберидзе Нодар Шалвович

Архитектор Арчил Курдиани

(На грузинском языке)

Издательство „Литература да Хеловнеба“

Плехановский, 181

19 Тбилиси 63

\*

გამომც. რედაქტორი ლ. ლუონტი  
მხატვრები ნ. ჯანბერიძე და გ. ჯაფარიძე  
მხატვ. რედაქტორი ინ. ჯანაშვილი  
ტექნიკური რ. იმანიშვილი  
კორექტორი გ. თათეიშვილი

\*

ხელმოწერილია დასაბეჭდად 27/XII-63 წ.

ანუცობის ზომა 9,25X7,25

ქაღალდის ზომა 70X108

საალ. საგამომცემლო თაბაზი 6,6

სასტამბო თაბაზი 6

ტირაჟი 1000

შეკვეთის № 549

უ 05109

ფასი 1 გ: 6. 37 კაპ.

\*

ტექსტი აიწყო გამომცემლობა „ლიტერატურა“

და ხელოვნების“ სტაც.ში, პლუანვის, 181

დაიბეჭდა ფოტოცინკოგრაფიაშ თბილისი, პლეხანვის, 50

Текст набран в типографии издательства

„Литература да Хеловнеба“, Плехановский, 181

Отпечатано в фотоцинкографии, Тбилиси, Плехановский, пр. 50



საქართველოს  
ეროვნული ბიბლიოთეკი